


140
1959/3

საქართველოს
ბავშვთა გაზეთი



პიონერი 3
1960



„ჩვენ სხვა გზით ვაპალთ“

მხატვ. პ. ბელოუსოვი

პ ი თ ნ ე რ ი



5009

საქართველოს ალკა
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელმწიფოს ნორმ
პიონერთა ორგანიზაციის
კავშირითი საბჭოს
ქვემოთწერილი საბავშვო
ქუჩისა



მ ა რ ტ ი
1960

გამოცემის წელი
XXXIV

რედაქტორი რევაზ მარგანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ. მგ. მდივანი),
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|----|
| ი. ყაყ მ ზ ა დ! — ნადედა კრუპსკაიას წერილი პიონერებისადმი | 2 |
| გ. გოგიაშვილი—გმირის დედა (წერილი) | 4 |
| ი. რ. ფაღვა—მარიამ უგრელიძე (წერილი) | 5 |
| ა. შენგელია—დედა (ლექსი) | 7 |
| შ. ცინისელი—უსადილო სტუმარი (მოთხრობა) | 8 |
| ნ. შალამბერიძე—ტუნგუსკის ტაიგის საიდუმლოება (წერილი) | 11 |
| გ. მეზუკე—გალაკტიონ ტაბიძე და ბავშვები (წერილი) | 13 |
| მ. ფიჩხაძე ელმეაღი ჯართისაგან (წერილი) | 14 |
| ვ. გორგანელი—„პიონერი“ (ლექსი) | 16 |
| ფ. ტრავსკი—აირჩიეს მირეკ სვობოდა (წერილი) | 15 |
| გრ. მესხი—ნორჩ მხატვართა გამოფენაზე | 16 |
| რ ა ტ ო მ ვ ა მ ბ ო ბ თ ა ს ე | 18 |
| ა. ხომერიკი—იხაროს თქვენმა მარჯვენამ (ნარკვევი) | 19 |
| კ. ფეკენი განაჩენი (მოთხრობა, თარგმანი ი. ლეჟავამ) | 22 |
| პ ი ო ნ ე რ მ ა უ ნ დ ა ი ც ო დ ე ს | 25 |
| ალ. ფაღვევი—დედისა და შვილებისადმი (წერილები) | 26 |
| თ. სახაროვი—გამარჯვება და ჯილდო (ნარკვევი) | 28 |
| ხ ე ლ მ ა რ ჯ ვ ე თ ა დ ა ს ა ხ მ ა რ ე ბ ლ ა დ | 30 |
| ო ლ ი მ პ ი ა დ ი დ ა ნ — ო ლ ი მ პ ი ა დ ა მ დ ე | 31 |
| მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე | 32 |

გარეკანის პირველ გვერდზე — „ყურადღება, ვილებო!“ — ნახატი რ. ცუცქერიძისა, გარეკანის მეორე გვერდზე — „ჩვენ სხვა გზით წავალთ“ — ნახატი პ. ბელოუსოვისა, გარეკანის მესამე გვერდზე — თავისუფალ დროს. გარეკანის მეოთხე გვერდზე — ახალი წიგნები.

ყურნალი დასურათებულია მხატვრების: დ. ხაჭუტაშვილისა და კ. მახარაძის მიერ.




3. ი. ლენინის ქვეყნისათვის

საქართველო
საბჭოთაო

ერთი თვის შემდეგ, 22 აპრილს, მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი მოწინავე კაცობრიობა დიდი ზეიმით აღნიშნავს ხალხთა გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ქე ლენინის დაბადების 90 წლისთავს. თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში გაცხოველებული მზადებაა გაჩაღებული ამ დიადი თარიღის დირსეულად შეხვედრისათვის.

წერილი „იყავ მზად!“, რომელსაც თქვენ ქვემოთ წაიკითხავთ, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ, ლენინის მეუღლემ და ერთგულმა თანამებრძოლმა, დაწერა დიდი ხნის წინათ, იმ დროს, როცა პიონერები თქვენი მამები და დედები იყვნენ. მაგრამ ამ წერილის ყოველი სიტყვა ამჟამად თქვენდამია მიმართული. თქვენც ხომ ლენინის ანდერძის ერთგულნი ხართ, თქვენც ხომ ლენინის საქმის განგრძობა გსურთ.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის კომუნიზმის გრანდიოზული პროგრამის—შვიდწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, თქვენც ყოველდღიური სასარგებლო საქმიანობით, სწავლასა და შრომაში ახალ-ახალი მიღწევებით მუდამ ხელს შეუწყობთ უფროსებს ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით განხორციელებაში.



იყავ მზად!

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული
კრუპსკაიას წერილი პიონერებისადმი



ყოველი პიონერი მიმართავა —
„იყავ მზად!“ პასუხობს: „მზად ვარ!“
მაგრამ ყველა პიონერმა როდღი იცის საიდან გაჩნდა ეს მიმართვა და ასეთი პასუხი.

„იყავ მზად!“ — ეს იყო ლენინის მოწოდება პარტიის წევრებისადმი. მუშათა საქმისათვის მებრძოლთადმი.

23 წლის წინათ, 1902 წელს, რუსეთის მუშათა კლასის ჯერ კიდევ არ ჰყავდა თავისი პარტია. მართალია, 1898 წელს შედგა სოციალ-დემოკრატების პირველი ყრილობა. იქ მხოლოდ რამდენიმე კაცი იყო მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელი. ყრილობამ დაადგინა, ჩამოყალიბებულიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომლის ცენტრალური კომიტეტიც აიჩნია.

მაგრამ პოლიციამ მიაგნო ყრილობას, დააპატიმრა ყველა მისი მონაწილე, და საქმეც ჩაიშალა, დარჩა მხოლოდ სახელწოდება. ცალკეულ დიდ ქალაქებში არსებობდნენ პატარ-პატარა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. მაგრამ ისინი სუსტნი იყვნენ და ერთმანეთთან თითქმის არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ყოველი ორგანიზაცია თავისებურად მუშაობდა. ჭოგიერთი სოციალ-დემოკრატი ფიქრობდა: პარტიის ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მუშებს დაეხმაროს მებატონეებთან ბრძოლაში, ხოლო რაც შეეხება მეფის ჩამოგდებასა და ცხოვრების ახლებურად გარდაქმნის საჭიროებას, ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეაო. სხვები ამბობდნენ, რომ არც კი

არისო საჭირო პარტიის არსებობა, მთავარია მუშები ავაჯანყოთ ცარიზმის წინააღმდეგო, მაგრამ ამისათვის რომ ორგანიზებულობა საჭირო — ეს კი დაავიწყდათ. ამხანაგმა ლენინმა იმ დროს დაწერა წიგნი. წიგნს ერქვა „რა ვაკეთოთ?“ ამ წიგნში იგი განმარტავდა, რომ საჭიროა მუშაობა, რათა მუშები რაც შეიძლება უფრო შეგნებულნი გაეხადოთ, ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციას. იგი წერდა, რომ საჭიროა, პარტია, მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, რაც შეიძლება უკეთ ერკვეოდეს ყოველივე იმაში, რაც მის გარშემო ხდება, უფრო ნათლად ხედავდეს გზას, კარგად ესმოდეს რისი ვაკეთებაა საჭირო ყოველ წუთს. და რომ პარტია

გ. ი. ლენინი

და

ნ. კ. კრუპსკაია

რუსული



მხატვარი გ. გელოვანი

უნდა წარმოადგენდეს ერთსულოვან ორგანიზაციას, რომელიც საჭიროების დროს გამოვა როგორც ერთი კაცი. მხოლოდ მაშინ შეიძლება ცარიზმსა და ბურჟუაზიაზე გამარჯვება. შეგნებულობა და ორგანიზებულობა ციდან კი არ ცვივა. საჭიროა დაუცხრომლად ვისწავლოთ გარემომცველ მდგომარეობაში გარკვევა, საჭიროა ვისწავლოთ ორგანიზებულად მოქმედება, ერთსულოვნება ყველაფერში.

— ჩვენ, — წერდა ამხ. ლენინი 1902 წელს თავის წიგნში „რა ვაკეთოთ?“ — ყოველთვის უნდა ვაწარმოოთ ჩვენი ყოველდღიური

მუშაობა და ყოველთვის მზად ვიყოთ ყველაფრისათვის“.


მზად უნდა ვიყოთ ვაწარმოოთ მუშაობა პოლიციისაგან მაღულად, ვბეჭდავდეთ ფურცლებს ფარულ სტამბებში, ვიყენებდეთ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას, რათა დავეხმაროთ მუშებს გახდნენ შეგნებულნი და ორგანიზებულნი, მზად უნდა ვიყოთ ამისათვის ციხესა და კატორღაში წასვლაზე, მზად უნდა ვიყოთ იმისთვისაც, რომ, როცა დადგება შესაფერი მომენტი, ავჯანყდეთ იარაღით ხელში.

„იყავით მზად“, — ეუბნებოდა ამხ. ლენინი პარტიის წევრებს, და ლენინური პარტიაც არ უშინდე-

ბოდა არავითარ შავ სამუშაოს, არავითარ მოსაწყენ საქმეს.

ნორჩი პიონერები ჯერ კიდევ არ იყვნენ ქვეყნად, როცა ლენინი მუშათა საქმისათვის მებრძოლთა მზადყოფნისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ ნორჩ პიონერებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იყვნენ ლენინის ანდერძის ერთგულნი, ისინი დაულაღავად სწავლობენ, დაულაღავად ირაზმებიან, მიზნად ისახავენ დარაზმონ სხვა ბავშვებიც, გახადონ ყველა ისინი შეგნებულნი და მკოდნენი; ნორჩ პიონერებს სურთ ისწავლონ ახალი ცხოვრების შენება, მათ სურთ განაგრძონ ლენინის საქმე.

1925 წელი.



საქართველოს მწიგნობრობის ცენტრი

ოცი წლის ქალიშვილი იყო. ვინ იცის, სად იქნებოდა რომელ კუთხეში არ არიან დღეს ადამიანები, რომლებიც პირველად ნინო მასწავლებელმა აზიარა წიგნს. ისინი აშენებენ ხიდებს და გზები გაჰყავთ, ქვანახშირს იღებენ, მოჰყავთ ჰური და ღვინო.

ვინ მოთვლის რამდენი არიან ისინი. ათასები, ათათასები, შვილებივით საყვარელნი და საამაყონი. ისინი შოთას დები და ძმები არიან...

„საყვარელო ნინო მასწავლებელო, — სწერენ ისინი შოთას დედას, — განა არ ვიცით, რომ ხშირად ნაღვლიანი იყავი და მაინც ღიმილმოფენილი გვიტარებდი გაკვეთილებს. ერთხელაც არ გვიგრძნია, რომ შენი ღიმილი ნაძალადევი იყო... ახლა ბევრს უკვე შვილები გვყავს და ვიცით რას ნიშნავს შვილმოკლული დედის ნაღველი. მაგრამ სიკვდილიც არის და სიკვდილიც! შოთა მუდამამს ჰაბუკი იქნება და იმ სახელოვან ქართველებს დაუმშვენებს მხარს, რომელთაც სამშობლო ახსოვდათ უპირველეს ყოვლისა, სამშობლოსათვის უცხოვრიათ, უბრძოლიათ და სიკვდილის თასად მოუპოვებიათ სამშობლოსათვის სიხარული.

ყველანი შოთას დები და ძმები ვართ. გვიგულე შვილებად. მოკითხვა თქვენს ქალიშვილსა და შვილიშვილებს...“

შოთას დას ნელი ჰქვია.
ნელი ექიმია, ადამიანებს მკურნალობს, სიცოცხლეს ემსახურება.

მას ორი შვილი ჰყავს: მარინე და ირინე.
მარინე ბევრი თქვენთაგანის ტოლია. პატარებო. შეეჭვებ კლასში სწავლობს. ირინე კი პაწაწინა გოგონაა.

ზოგი ამბობს. რომ ირინე ძალიან ჰგავსო შოთა ძიას. არც მარინე და არც ირინე არ იცნობდნენ თავიანთ ბიძას. არა. ცოცხალი არ უნახავთ, თორემ როგორ არ იცნობდნენ... დახედავენ თუ არა სურათს. იციან ვინც არის.

„შოთა ძიაა“ — იტყვის ირინე. მერე გაქანდება და ნინო ბებიას კალთაში ჩაუჯდება.

„დაიცა, ჯერ ჩემი საშინაო დავალება ნახოს“ — დაუტევს მარინე.

ნინო ბებია გულში იკრავს პატარა ირინეს და თანაც სათვალეს ისწორებს... შვილიშვილის საშინაო დავალების გარდა, ორმოცი რვეული აქვს გასასწორებელი. ხვალ დილით გაკვეთილი აქვს ნინო ბებიას.

„რა მივიღე, ნინო მასწავლებელო, რა მივიღე?“ — შემოეხვევიან ხვალ პატარები.

ასე იყო ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათაც: „დაიცა, ჯერ ჩემი საშინაო დავალება ნახოსო“, — დაუტევს

ბებიის დედა

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია...

მუახნის ქალია.

ზოგი დედა ნინოს ეძახის.

ზოგიც საყვარულით ეუბნება: პატივცემულო მასწავლებელო.

ვინ არ იცნობს ამ მუახნის ქალს? ის საქვეყნოდ ცნობილი დედაა. რომელსაც აგერ. თვრამეტი წელიწადი იქნება. კარი აღარ გაუღია თავისი ვაჟისთვის... აიღებს შვილის ნაქონ. ოდნავ შეყვითლებულ რვეულებს — „საშინაო დავალებისათვის“ რომ აწერიათ — და ფურცლავს.

რა მალე გარბიან წლები... პირველად ამ ოცდაათექვსმეტი წლის წინათ ჩაატარა გაკვეთილი. მაშინ

საქართველოს მწიგნობრობის ცენტრი

და შოთა წელის და თან ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაიკითხავდა დედა დავალებას ბოლომდე. თუკი დედა შეცდომას ვერ უშავიდა. ცას ეწეოდა შოთა... მოათვრიანობდა და მოათვრიანობდა ხუთიანებს.

მერე ის იყო, ომიც დაიწყო. კაცები ფრონტზე გაიკრიფნენ. შოთამაც თავისი სარგო ფარაჯა და ჩექმები გამოძებნა: არ შეგარცხვენო. დაუბარა დედას და წავიდა შორს. ძალიან შორს.

წავიდა, რომ ოცი წლის შემდეგ ბედნიერები ყოფილიყვნენ მარინე და ირინე, რომ ბედნიერები ყოფილიყავით ყველანი და ხუთიანების მიღება გაგხარებოდათ... წავიდა, რომ თავისუფალი ყოფილიყო სამშობლო. რომ მზე არ მოჰკლებოდა საქართველოს ყანებს, ვენახებს და ვერავის შეებლალა ქართველი დედის მანდილი.

„ახლა შოთას შვილებიც სკოლაში უნდა დადიოდნენ“. ამბობს დედა ნინო. მას სევდიანი. მაგრამ ამაყი გამოხედვა აქვს. და განა არა აქვს საამაყო გმირის დედას! საქვეყნოდ სასახელო შვილი გაუზრდია, შვილი და როგორი შვილი!

ამას წინათ შოთას დედას ლენინგრადიდან წერილი მოუვიდა. წერილში ეწერა:

„საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის ძვირფასო დედავ!

ყველანი დედას გეძახით და ლვიძლ დედასავით გვიყვარხართ...

გულით ვატარებთ თქვენი გმირი შვილის ამაყ სახელს. ჩვენი ნაწილის სიაში პირველი შოთა გამცემლიძის გვარი და სახელი სწერია. როგორც ცოცხალს, საწოლიც დავუდგით. ჯარისკაცები სიყვარულით უკლიან მის საწოლს და ყოველდღე საგულდაგულოდ ასწორებენ ლოგინს... საწოლთან ყოველთვის ცოცხალი ყვავილები დგას. კედელზე შოთას გმირობის ამსახველი სურათი ჰქიდა...

ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ ვირუს პიონერულ რაზმეულს შოთას სახელი მიეკუთვნა. მალე პიონერები ჩვენს ნაწილში მოვიდნენ სტუმრად და უნდა გენახათ შოთას საწოლი: სულ ყვავილებით დაფარეს პატარებმა.

ძალიან გთხოვთ, თუკი შესძლებთ, ჩამობრძანდეთ ჩვენს ნაწილში: დედასავით მიგიღებთ და გულში ჩაგიკრავთ.

კარგი იქნება თუ შოთას დაწვრილებით ბიოგრაფიას მოგვეწერთ.

სიტყვას გაძლევთ, თქვენი შვილივით ვიდგეთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადარაჯოზე.

მოგვეწერეთ რაც შეიძლება ხშირად. ველით თქვენს წერილებს.

კიდევ ერთხელ გისურვებთ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას.

წერილი მიღებულია ნაწილის პირადი შემადგენლობის ლია კრებაზე... წერილს ნაწილის დავალებით ხელს აწერს ოთხი კაცი.

„თუ მოვახერხებ უეჭველად წავალ და ვნახავ ამ კარგ ხალხს. ჩემი შვილის ლოგინსაც ვნახავ“. ამბობს შოთას დედა და სევდიანად იტყვირება შორს. თითქოს იმ დაუბრუნებელ დღეებს იგონებსო. როცა ფუმფულა ბალიშს დაუდებდა თავქვეშ თავის პატარა ბიჭს. ან საშინაო დავალებას შეუმოწმებდა ხოლმე.

გუშინდელ დღესავით ახსოვს... ყოველ ზაფხულს ხარაგოულში. სოფელ მაქათუბანში დადიოდნენ. შოთა მთელი დღე ურმებს დასდევდა, შესკუბდებოდა კოფოზე და ნამდვილ მეურმესავით დაიწკრიანებდა: გასწიე, ხარო. გასწიეო... ხანაც ყვავილებს დაჰკრეფდა მინდვრად და დედას მიუტანდა: ყველაზე ლამაზი ყვავილები დაგიკრიფეთო.

თბილისი. საბჭოს ქუჩა. ოცდამეთექვსმეტე სკოლა. ოცი წელიწადი მარტო ამ სკოლაში. ყოველდღე რვეულებით ხელში... ნელა მიაბიჯებს მასწავლებელი.

„ნინო მასწავლებელი მოდის. ნინო მასწავლებელი“... ყველა თავის ადგილას ჯდება და თვლებში უცქერიან მასწავლებელს. მას უტყვი ნაღველი შესახლება გულში მაგრამ არ იმჩნევს. ან რა ადგილი აქვს ნაღველს ამ ცქრიალა გოგო-ბიჭებში. მათ ღიმილი. სიხარული და სიყვარული უნდათ. მასწავლებელიც იღივება, სიხარული და სიყვარული მოაქვს პატარებისათვის...

ჰო, მართლა. დღეს მშვიდობის დაცვის კომიტეტშიც უნდა შეიაროს. შოთას დედა ერთ-ერთი პირველი წევრია ამ კომიტეტისა... ვერა. ვერავინ ვერ უნდა შესძლოს ცის ჩამობნელება. ქვეყნად მშვიდობა და სიხარული უნდა მეფობდეს. ტანკები და ზარბაზნები მუზეუმებში უნდა დაიდგას.

მაქათუბანში კვლავ დაედევნება ვინმე პატარა ბიჭი ურმებს. შემოაჯდება კოფოზე და ნამდვილ მეურმესავით დაიწკრიანებს: გასწიე ხარო, გასწიეო... ხანაც ყვავილებს დაჰკრეფს და დედას მიუტანს: ყველაზე ლამაზი ყვავილები დაგიკრიფეთო.

თბილისის ქუჩებსაც სირბილით მოედება პატარა ბიჭი... მოათვრიანობს და მოათვრიანობს ხუთიანებს.

მას შეიძლება შოთა ჰქვია ან გია. ან პაატა... თუმცა, სულერთია. მთავარია სულ ბედნიერი იყოს ეს პატარა ბიჭი.

ამ ფიქრით ცხოვრობს შოთას დედა და ამ ფიქრით დადის ქვეყანაზე.


გ. გოგიაშვილი

მარიამ

უბრელიძე

1905 წლის ცხრა იანვარი. პეტერბურგის ქუჩები მუშათა სისხლითაა შეღებილი. ისმის დაჭრილების კენჭება. თვალცრემლიანი, შავგვრემანი ქალიშვილი ძლივს მიაბიჯებს მათ შორის. იგი დაბლა იხრება, ჩანთიდან იღებს დოლბანდს და პირველ დახმარებას უწევს დაჭრილ მუშას... მისი გული სავსეა რისხვით მეფისადმი, რომელმაც უიარაღო დემონსტრაცია დახვრიტა. ქალიშვილი ჯერ ოცი წლისაც არაა, მაგრამ იგი უშიშრად გამოჰყვება უფროს ამხანაგებს, სტუდენტებს... მისი სახელი და გვარი მარიამ უგრელიძეა. გაივლის წლები და ეს ქალიშვილი მრავალი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს. დღეს კი რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენოთ მისი ცხოვრებიდან.

1901 წელი. ბაქოს ქალთა გიმნაზია. კლასში ახალი დამრჩეველები შედის. მერხებიდან წამოიშლებიან გოგონები და თვალგაფართოებული შეჰყურებენ ახალ პედაგოგს. როგორ არა ჰგავს იგი სხვა მასწავლებლებს! დამრჩეველებს ბავშვური, ციმციმა თვალები აქვს. იგი, ჩანს, ღელავს, მაგრამ თავს იკავებს და მტკიცე ხმით იწყებს პირველ გაკვეთილს. ძნელია, ძალიან ძნელი, თავი შეაყვარო პატარა მოწაფეებს, სწორად წარმართო მათი გზა. ეს კარგად ესმის ახალ დამრჩეველებს, თუმცა იგი



მხოლოდ 16 წლისაა. გაიარა პირველმა დღეებმა. ბავშვებმა შეიყვარეს ახალგაზრდა მასწავლებელი. სულგანაბული უსმენენ, სწავლობენ მისგან შრომისმოყვარეობას, სიბეჯითეს. ახალი პედაგოგის გვარი და სახელი მარიამ უგრელიძეა. გაივლის წლები და მარიამი მრავალ ათას ახალგაზრდა სპეციალისტს გამოუზრდის სამშობლოს! დღეს კი, რა იციან მოსწავლეებმა, რომ მათ დამრჩეველებს ერთი დიდი მიზანი აქვს დასახული: რაღაც არ უნდა დაუჯდეს, სწავლა გააგრძელოს. იგი კერძო გაკვეთილებზეც კი დადის, რომ საჭირო თანხა შეაგროვოს. თავისუფალ დროს კი გატაცებით კითხულობს, იღრმავებს ცოდნას და მომავლისათვის ემზადება...

ახლა მარიამის ოცნება! 1904 წელს იგი პეტერბურგის ქალთა უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მარიამი გატაცებით დაეწაფა საბუნებისმეტყველო დისციპლინებს. მას გულით უნდა საყვარელ საქართველოს განათლებული დაუბრუნდეს, თავისი ცოდნა მოახმაროს.

ერთი წლის შემდეგ მარიამი მართლაც დაუბრუნდა სამშობლოს... ეტაპით. ეს უკვე მეფის მთავრობის „წყალობა“ იყო. სტუდენტი გოგონა პირდაპირ აუდიტორიიდან გაიყვანეს მეფის ქანდაკებებმა. მას ბრალად ედებოდა სამხედრო ნაწილებში რევოლუციური პროკლამაციების გავრცელება და რევოლუციონერებთან თანამშრომლობა.

დაიხურა მარიამისათვის მეფის რუსეთში ყოველი სასწავლებლის კარი. ხელმოკლე, ობოლი ქალიშვილის ნებისყოფა კი მაინც არ გატეხილა. იგი შორეული შევიცარის გზას გაუდგა... ქალაქი ლოზანა. მარიამი

სულგანაბული ისმენს ფსიქიატრის — მანჭიშვილის ლექციებს. მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ექიმი-ფსიქიატრი გახდეს. მაგრამ ავარდა პირველი მსოფლიო ომის ცეცხლის ალი. მარიამმა ომის პირველსავე დღეს გადამოლახა გერმანიის საზღვარი და კვლავ რუსეთში დაბრუნდა.

1915 წელი. ოდესის უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდები მიმდინარეობს. ღვაწლმოსილი პროფესორი, ბავშვთა სნეულებების კათედრის ხელმძღვანელი — სიმონ გოგიტიძე გამოცდებს იბარებს. იგი აღტაცებულია სტუდენტი ქალიშვილის ცოდნით. გოგიტიძე წინადადებას აძლევს ქალიშვილს, იმუშაოს მის ორდინატორად. მაგრამ ქალიშ-

ვილს ხომ ფსიქიატრიაში მუშაობა ჰქონდა გადაწყვეტილი! იგი ყოყმანობს, მაგრამ ახსენდება, თუ როგორ უყვარს ბავშვები, როგორ ზრუნავდა ბაქოში მათ სწავლ-აღზრდაზე. მართლაც, რა სჯობს თელობის სადარაჯოზეც დადგება? გადაწყდა: მარიამი ბავშვთა სწავლებლების კათედრაზე რჩება!

ოდესსი უნივერსიტეტის კიბეზე მძიმედ ჩამოდის ხნიერი მეცნიერი, ცუდად გრძობს თავს და სახლში ბრუნდება. იგი პროფესორი პეტრე მელიქიშვილია. მელიქიშვილი შედის ოთახში და საწოლში წვება. ბინა ცარიელია. მას მარტობა აწუხებს. მაგრამ ეს ვინ აკაკუნებს მისი ოთახის კარზე? ახალგაზრდა ექიმი ქალი შემოდის საყვარელ ადამიანთან, თითქოს სინათლე და ხალისი შემოაქვს. ექიმი შუბლზე ხელს ადებს ავადმყოფს. მერე წამლებს იღებს და თავს დასტრიალებს. პროფესორს ელიმება. რა კარგები არიან ეს ახალგაზრდები,—ფიქრობს იგი,—მას შვილებივით ევლებიან თავს, განსაკუთრებით კი ეს ქალიშვილი. მელიქიშვილი სიტყვიან თვალებს ხუჭავს და მის სახელსა და გვარს იხსენებს: მარიამ უგრელიძე!

შემდეგ? შემდეგ საქართველო. ბავშვთა საავადმყოფო... თეთრხალათიან ექიმს თმაშიც თეთრი გამოერია. ისიც დედასავით ათევს ლამეებს ნორჩების საწოლთან. იმარჯვებს სიცოცხლე, ილიმება ავადმყოფი და ილიმება მოღლილი ექიმიც... საქართველოში მრავალმა მშობელმა იცის ამ ექიმის მისამართი: თბილისი, ლენინის

ქუჩა, 33, მარიამ უგრელიძე. საიდან არ უმოღიწხე სახლში. მოდიან და მოყავთ პატარები, რომელთა სიცოცხლე საფრთხეშია. მარიამი გულისხმიერად სინჯავს მათ და მშობლებს იმედის შუქი უდგებათ თვალში. მათ სჯერათ ექიმისა! განა იგი სწორედ ის ადამიანი არაა, რომელმაც ტყვით მოიარა მთა-თუშეთი, ხევსურეთი... რათა იქაური ბავშვებისათვის მიეწვდინა ხელი, შეესწავლა მათი ცხოვრების პირობები, ზნე-ჩვეულებანი, თამაშობები, შებმოდა მთაში გავრცელებულ ბავშვთა დაავადებებს. მარიამი მიიკვლევდა უვალ ბილიკებს, უფსკრულის პირთან ატარებდა ცხენს, მაგრამ ერთის წამითაც არ შემკრთალა მისი კეთილშობილი გული. ამიტომ უყვართ იგი სამშობლოში. უყვართ მისგან გადარჩენილ პატარებს, უყვართ მადლიერ მშობლებს. სამშობლომ მისი ამაგი დააფასა — ორდენებითა და მედლებით შეუმკო მკერდი... მისმა გაზრდილმა სპეციალისტებმა კი რომელ კუთხეში არ ასახელეს ამაგდარი პედაგოგი და მეცნიერი, ხნიერი, თმადათოვლილი ქალი მაგიდას მისჯდომია. ოთახში მყუდროებაა. მარიამი ხურავს წიგნს, იხსნის სათვალეს და ფიქრში მიდის. მოსაგონებელი კი ბევრი რამ აქვს...

ღეგა

წყაროს გზისათვის რომ მესმის, გულს რომ აცთვს ლეღს ცივ-ცივი, ეს—ღეღაჩის სმა არის, ეს—ღეღაჩის სიცილი!

მაღლობზე ცყე რომ შრიალავს მთას მოქარგული არშვიდ, ღეღას, საყვარელ ღეღილს თითქოს თმა ქარში გაშლია!

მთების მხურვალე კალთაზე ღეღის კალთას ნამდვილად, მთაზე რომ თეთრი ნისლია ღეღამ უბოძა მანდილად!

ასეა ჩემი სამშობლო მიწის ყოველი მკვარელი, ღეღის მკრედივით თბილია, ცხელია ჩემი მთა-ვლა!

ალექს. მენაძე

მის ამაგს არასოდეს დაივიწყებს სამშობლო.

იკაალი ფალავა,

მელიციონის მეცნიერებათა დოქტორი

პიონერული მოღვაწეობა

...რომ ჩინეთში 30 მილიონი პიონერია. მათ თავიანთი „პატარა ხუთწლიანი გეგმა“ აქვთ, რომელსაც წარმატებით ასრულებენ.

...რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში 900 ათასი პიონერი და 12 ათასი რაზმია. პიონერებად აქ 9-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს იღებენ. ისინი ყოველწლიურად ატარებენ ტრადიციულ კონკურსებს: „ნორჩი ტექნიკოსი“, „ნორჩი ნატურალისტი“, „შეისწავლე შენი სამშობლო“, „მხატვრული კონკურსი“ და სხვ.

...რომ დიმიტროვის სახელობის ბულგარეთის პიონერულ ორგანიზაციაში 600 ათასზე მეტი 9—14 წლის ბავშვია. ბულგარელი პიონერები თავიანთ თავს „სექტემბრელებს“ უწოდებენ, — 1928 წლის გმირული თარიღის აღსანიშნავად, როდესაც მათმა მამებმა და ბაბუებმა ფაშისტების წინააღმდეგ დაიწყეს აჯანყება.

...რომ იტალიელ პიონერთა კავშირი აერთიანებს ბავშვებს 7-დან 14 წლამდე. ეს კავშირი სცემს უურნალ „პიონერს“. ამ უურნალს ხალხში თვით პიონერები ავრცელებენ. აღებული ფული კი რაზმის ფონდში შეაქვთ.

ყსაფიციო სცყმარი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მწიფობაში შესული თუთის ძირას ლურჯმაისურიანი ბიჭი განაბულა და ჩიტებს უდარაჯებს. შურდული მალიმალ იძაბება, მოსხლეთილი კენჭი ტკაცატკუცით გადის და ფლეთილ ფოთლებში და ძირს ჩამოვარდნისას მოულოდნელად იღებს ჩქამს — ხან ხეხილის ტოტებში. ხან



მწიფობაში შესული თუთის ძირას ლურჯმაისურიანი ბიჭი განაბულა და ჩიტებს უდარაჯებს.

ფართეფოთლებიან შამბში, ხან კი მეტად ფაქიზ ადგილას — სახურავზე. ამ დროს ბიჭი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება: თავს მხრებში რგავს — თითქოს ქვა კეფაზე უნდა დასცემოდაო, თვალებს ნაბავს და შენიშვნის მიღების მოლოდინში ქვემ-ქვემ იღიმება... ეს — ავთანდილია, მეზობელი სოფლიდან. იგი დღეს დილით ბებიას ესტუმრა და სადილის მოლოდინში ჩიტების დევნით ერთობა.

სამზარეულოდან ჩანაკვერცხლებული შეშის ხალისიანი ტკაცუნა და ერბოთი შემზადებული ნამცხვრის გამაღიზიანებელი სურნელი გამოდის, რასაც ხანგამოშვებით თან ერთვის თიხის კეცზე მოდებული ლითონის მაშის ღრჭიალი. ბებია ხაჭაპურებს აცხობს საპატიო სტუმრის-

თვის. სახურავზე კენჭის დაცემისას გარეთ გამოიხედავს. ფქვილში ამოსვრილ ხელებს წინსაფარზე იწმენდს და შიშნარევი ჩურჩულით აფრთხილებს შეილიშვილს: — ფრთხილად, შვილო, ქვა არავის დასცე თავში! — დანაშაულში დარწმუნებული ბიჭი უგემურად იღიმება. შურდულს ზანტად იტენის ჯიბეში და მოხუცს აიძვდებს, რომ არაფერია საშიში. რადგან ასეთი შემთხვევა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. თანაც ახლა კენჭებს კი არ ისვრის. არამედ მკვახე ტყველებს. რაც ისე მსუბუქია, რომ სრულიადაც არაა დამაზიანებელი. შემდეგ, მოსაჩვენებლად, თუთის ტოტს იწევს დაბლა, მწიფე ნაყოფს ეძებს და, როდესაც ბებია საქმეს მიუბრუნდება, ისევ თავისას განაგრძობს.

აი, სისხლივით წითელი მოლალური შემოფრინდა ხეზე. ასანთის ღერივით წვრილი ფეხებით გვერდ-გვერდად გაცოცდა ტოტზე და მწიფე თუთისკენ ლამაზად მოიღერა ყელი. ბიჭმა ჯიბეში იტაკა ხელი. შურდული ფაციფუცით მომართა. გამოუმინა. ფრთხილად გამოწეა და ტკაცუნით მოსხლიტა. ჩიტი სწრაფად მოწყდა ადგილს, ჰაერში მთელი ბლუჯა ბუმბული გააფრქვია და ძლიერი დარტყმისაგან გაბრუებული, ბარბაციტ გადაფრინდა მეზობლის ბაღში.

— ოხ, შენი! — მუქარით ამოიქმინა ბიჭმა და შამბში ჩაფლული ღობისაკენ შლივინით წავიდა.

ღობესთან მჭიდროდ მიტმანნილი მალალი ჭინჭარი ფრთხილად მისწი-მოსწია და იქით გადაიხედა, საითაც ჩიტი გადავარდა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა და მოშორებით, კაკლის ხის ძირას მოფუსფუსე პატარა ბიჭებს გასძახა:

— ე, ბიჭებო, აქეთ ჩიტი გადმომივარდა, ხომ არ გინახავთ?

ბიჭებმა თვალები დააჭყიტეს და მისკენ მიტრიალდნენ, მაგრამ იმდენად შებოჭა ისინი ცნობისმოყვარეობამ, რომ ვერც კი მოახერხეს პასუხის მიცემა.

— რატომ გაშტერდით, ხომ არ შეშინდით? — ღიმილით გამოელაპარაკა მათ ავთანდილი. — ვისია ეგ ბალი, თქვენი?

— არავისიც არ არის, — მიუგო ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ერთმა, რომელიც შედარებით უფრო გაბედული ჩანდა.

— მაშ ის სახლი ვისია? — ავთანდილმა ხელი გაიშვირა ბალის თავში მდგარი ძველი სახლისაკენ, რომელსაც ტოტებს შორის მხოლოდ უკანა კედელი და ხავსოდებული სახურავის მკირე ნაწილი მოუჩანდა.

— არავისი.
— პატრონი არა ჰყავს?
— არა.
— ლაპარაკი რომ ისმის!
— ქალები არიან, აბრეშუმის ჭია ჰყავთ.
— მაშ, გადმოვიდე?—წამაქებულად ჰკითხა ავთან-
დილმა.

ბიჭმა გვერდით მდგომ ამხანაგს გადახედა ღიმილით და გაუბედავად გაკილა ავთანდილი:

— გადმოდი რა, ვინ გიშლის!
სიძველისაგან დაუქლურებულმა ლობემ ტკაცანი მო-
იღო. ავთანდილი ფრთხილად გადახტა მეორე მხარეს და ბავშვებისაკენ ღიმილით გაემართა. ისინი ფეხშიშველ-
ა იყვნენ და ტუჩები და ხელები შავი თუთით ჰქონ-
დათ გათხუპნული.

— რას ეძებთ აქ?—ჰკითხა მისვლისას პატარებს.
— აგე, იმ ფულუროში ჩიტს ბუდე აქვს,—უცბად
საქმიანი გამომეტყველება მიიღო ბიჭმა და კაკლის ფუ-
ლუროიანი ტოტისკენ მიუთითა ავთანდილს.—შენ არ
ჩაგეტევა ხელი, თორემ ახვიდოდი. აი, ეს ასწიე და ნა-
ხავს!

მან ამხანაგზე უჩვენა თვალთ, რომელიც ერთ ად-
გილზე უძრავად იდგა და უნდობლად ათვალიერებდა
უცხო სტუმარს.

ავთანდილმა ჯერ ფულუროს ახედა, შემდეგ მოსაუ-
ბრე შეათვალიერა და გამომწვევად მიმართა:

— რაღა სხვაზე მითითებ, შენ აგწევ, თუ აგრეა!

— რატომაც
არა, განა მეში-
ნია, — გულადად
მიუგო ბიჭმა.—
მხოლოდ, აი,
მუხლი მაქვს ნატ-
კენი და ხეზე
რომ ავცოცდე,
სისხლი გამომი-
ვა.—მან ხელი
მარცხენა მუხლზე
დაიდო ფრთხი-
ლად, რომელზე-
დაც პატარა კუ-
თხოვანი განაკაწ-
რი ემჩნეოდა
წითლად.

— უპ, ეგ რა
მოგსვლია, ჩხუბ-
ში ხომ არ დაგჭ-
რეს? — ფარული
დაცინვით ჰკით-
ხა ავთანდილმა.

ბავშვი მიუხე-
და დაცინვას და
ღიმილით უპა-
სუხა:

— ჩხუბში კი არა, ისა... მაკრატლით გავიჭერი.

— მაკრატლით?! როგორ?

— ქალაღსა ვჭრიდი და კანიც მივაყოლე.
ავთანდილს გაეცინა. მას ძლიერ მოეწონა ხალისიანი
ბავშვი და ჩიტებზე ნადირობა გადაავიწყდა.

— რა გქვია სახელად?—ჰკითხა ბოლოს.

— ტარიელი,—გაუბედავად წარმოთქვა ბიჭმა, თით-
ქოს ერიდება—ვაითუ არ მოეწონოს ასეთი სახელიო.

— ყოჩაღ, ბიჭო! რა კარგი სახელი გრქმევია, ჩემი
ძმაცაი ყოფილხარ!—მოწონებით მიმართა ავთანდილმა
და მის ამხანაგს გადახედა, რომელიც თანდათან გახა-
ლისდა და შეეტყო, რომ მასაც სურდა ლაპარაკში ჩა-
რევა.

— შენ კი, შენ რაღა გქვია?

— ამირანი,—ხალისით მიუგო ბიჭმა და იმის მოლო-
დინში, თუ როგორ შეაფასებდა მის სახელს, თვალები
მოუთმენლად აახამხამა.


— ვაჰ, შენ გენაცვალე! ეს რა ვაგაკუთრი სახელი
გრქმევია! პასპორტშიაც აგრე გიწერია?

ამირანი ჯერ ჩაფიქრდა, თვალები ძირს დახარა, შემ-
დეგ დაექვებით შეხედა მოსაუბრეს და თავი გაუბედავად
დაუქნია.

ავთანდილმა გადაიხარხარა, რითაც ძლიერ გაამხი-
არულა პატარები.

— შენ რაღა გქვია?—სიცილით ჰკითხა ტარიელმა.

— მე?—ავთანდილმა ხელი დამუშტა, თვალები იმ-
გვარად გამოქაჩა, თითქოს ვინმეს ემუქრებო, და



— ე, ბიჭებო, აქეთ ჩიტო გადმომივარდა, ხომ არ გინახავთ?

გაზვიადებით წარმოსთქვა:—მე მქვია ყარამან-ყათილი!
—და ისე უცნაურად მოღრიცა სახე, რომ ბავშვები
ერთმანეთს შეაწყდნენ სიცილით.

— მოფრინდა, აგე, ჩიტი მოფრინდა!—წამოიყვირა
უცბად ტარიელმა და თითი ფულუროსაკენ გაიშვირა.
რომელშიც მოხდენილად ჩაცურდა მოლურჯოფრთები-
ანი მესკია-ჩიტი.

ფულუროდან ბარტყების სუსტი წიწინი მოისმა.

— ნახეთ, ჭია მოუტანა ბარტყებს!—აღელვებით
განაგრძო ტარიელმა და ავთანდილს შეაფეთა თვალები
—აბა, რა განაჩენს გამოიტანსო.

— კარგით, მომითმინეთ ცოტა!—დაამშვიდა პატა-
რები ავთანდილმა.—წელან თუთაზე ჩიტი დავჭერი, წი-
თელი ჩიტი, და აქეთ ვადმოვარდა სადღაც. მოდით,
ჯერ ის მოვძებნოთ და შემდეგ ბუდეც ვნახოთ...

ბავშვები ახლადგაცნობილ მეგობართან ერთად ხა-
ლისით შეუდგნენ დაკარგული ჩიტის ძებნას.

* * *

ბებიამ თბილი ხაჭაპურები ხონჩაზე დააღაგა, ზემო-
დან სუფთა ტილო გადააფარა და კარადაში შედგა.
ორი ნამცხვარი კი ცალკე დადო. თეფშზე, დანით ოთ-
ხად გასჭრა და ქალებს წაუღო, რომლებიც მეზობლის
მიტოვებულ სახლში აბრეშუმის ჭიას უვლიდნენ.

ქალებმა, როგორც წესი,
ჯერ უსაყვედურეს ბებიას
ასეთი ხელგაშლილი ძღვენი-
სათვის: რატომ შეწყუბდი,
თებრონე ბებია, ამდენი რომ
წამოგილია, შენთვის რაღა
დაგრჩაო, შემდეგ კი
ფოთლის რჩევას თავი მია-
ნებეს და ხაჭაპურს მადიანად
წაეტანენ.

მაგრამ ჯერ არც კი შეე-
ქოთ გამოცხოების ხელი და
ცოდნა, რომ ბაღში უცბად
ცივი ხმით დაიკივლა ბავ-
შემა და ყველას ხელიდან
გაუვარდა ლუკმა.

— რა ღმერთი გაუწყრა,
ჩემი ბიჭი ტირის!—შეშფო-
თებით წარმოსთქვა ერთმა
ქალმა, ფოთლით სავსე კალ-
თა აიკრიფა და აივნის მოა-
ჯირს გადაეყუდა.

— ტარიელ, რა გატი-
რებს, ბიჭო! — გადასძახა
შვილს.

— ამი...რანმა...თავი გა-
მი... ტეხა!..—მოისმა ტარი-
ელის სლუკენი.



ახლა ამირანის დედა წამოხტა ძუქარით, დარჩეული
ფოთლი მაგიდაზე დაყარა და ბრაგა-ბრუგით ჩაირბი-
ნა ხის კიბე. გულხეტქებით გაირბინა ეზო და ტარი-
ელისაკენ გაეშურა, რომელსაც ცალი ხელი საფეთქელზე
მიეჭირებინა და შიშისა თუ ტკივილისაგან ისე დამან-
ქოდა სახე, რომ ველარც კი იცნობდით.

ქალი მიიჭრა მასთან, მოეფერა. კალთაში ჩაისვა,
ნატკენი ადგილიდან ხელი მოაცილებინა, შეთვალეირა,
თმაც გადაუწია ფრთხილად—სისხლი ხომ არ მოსდისო
და, რომ არაფერი აღმოჩნდა მსგავსი. საყვედურით
მიმართა;

— რა გატირებს, შე კაცო. არაფერი არ გეტყობა. გა-
დაგვრიე შიშით და ეგ არის!—შემდეგ წამოდგა,
კაბა ჩაიფერთხა და თავისი შვილისაკენ დაიძრა გაცხა-
რებულნი.

ამირანმა. რომელიც შერისხვის მოლოდინში ხეს
მიყრდნობოდა ნიდაყვებით და მკლავებში თავჩარგული
ჩუმად იცრემლებოდა. ბალახის ფაჩუნზე იგრძნო მის-
კენ წამოსული დედის ფეხის ხმა და წყნარად აზლუ-
ქუნდა.

დედამ გამეტებით შეანჯღრია შვილი და გაბრაზე-
ბით ჩასძახა ყურში:

— რას ერჩოდი იმ ბიჭს, მითხარი ჩქარა!

— ჩემი ბრალი არ არის, ყარამანმა გვაჩხუბა!..

—ჯოხნაცემი ძაღლივით აწყავლდა ამირანი.

დედა გაშტერდა. უცბად
ისე მოღუნდა, რომ ხელიც
კი უშვა ბიჭს. იფიქრა: ან
მე მომელანდა, ან ბავშვი
გამიგოფიდაო და შეშფოთე-
ბით ჰკითხა:

— რას ბოდავ, ბიჭო, ვინ
არის ყარამანი!

— ვინა და ყათილი,
თებრონე ბებიასთან რომ
არის!..

მალე ყველასთვის გასაგე-
ბი გახდა თუ ვინ იყო „ყა-
რამან-ყათილი“. თებრონე
ბებიას სირცხვილით აეწვა
სახე. იგი მხოლოდ მაშინ
მიხვდა რაშიც იყო საქმე.
როდესაც კედელზე მიჭედლილ
ლურსმანზე ავთანდილის
თეთრი ხალათი აღარ დახვ-
და დაკიდებული, და სინანუ-
ლით წარმოსთქვა:

— ღმერთო, მომკალი...
სადილი მაინც ეჭამა იმ დაწ-
ყველილს!

უყუნე უყუნე უყოფი საყუბოუბო

მეცნიერების

გადაუჭრელი

პრობლემებიდან

„მე არ დამინახავს, ჩემმა პაპამ ნახა ქუხილის ღმერთი, საზარელი რამ იყო. რომ მოჰქროდა, ცა გაირღვა. მზე აღარ ჩანდა, ტაიგა მიწიანად ამოთხარა, ამოაბრუნა. მარტო ადამიანი კი არა, მიწაც ცახცახებდა შიშისაგანო. შემდეგ პაპა მალე მოკვდა, — ცის ღმერთის ყურება არ შეიძლება. შენც მოკვდები იქით თუ წახვალ, დაწყველილი ადგილია“.

ლეონიდ ალექსის ძე კულიკმა გაიღიმა. მოხუცი ევენკი მართლაც სწორს ამბობდა: ამ ადგილებში მისვლამდე ათჯერ შეიძლებოდა სიკვდილი.

ისევ ქარბუქი, ისევ ყინვები. უკვე ორი კვირაა მიჩოჩავენ ცხენები, ვანოვერის სანახებამდე კი ჯერ მხოლოდ ნახევარი გზაა გავლილი.

მაგრამ იგი არ ნანობდა ექსპედიციაში წამოსვლას. ნამდვილი, დიდი მიზნის მისაღწევად შეიძლება თავის გაწირვა. მიზანი კი იყო — ნამდვილი, დიდი მიზანი.

ბუნება ადამიანს ზოგჯერ ისეთი გამოცანის წინაშე აყენებს, რომ მეცნიერებს მრავალი წელი, ხან კი მთელი სიცოცხლე სჭირდებათ მის ამოსახსნელად. სწორედ ასეთი გამოცანის წინაშე იდგა საბჭოთა მეცნიერი — გეოფიზიკოსი კულიკი.

1908 წლის 30 ივნისს ციმბირში საოცარი ამბავი მოხდა:

ნათელ, მზიან დილას, როდესაც ჭექა-ქუხილს არავინ ელოდა, ცაზე უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი გამოჩნდა. მან სწრაფად გადასერა ცა, უკან სქელღრუბლიანი კვალი დატოვა და პორიზონტს მიეფარა. მიეფარა და იმ წამსვე საშინელი გრგვინვა გაისმა.

შემდეგ კი მიწა იძრა: ათამაშდნენ სახლები, ჩამოცვივდა მინები, აღმუვლდა საქონელი.

ჩრდილო-დასავლეთ ბაიკალის თვალუწვდენ სივრცეზე, ერთმანეთისაგან ასეული კილომეტრით დაშორებულ

სოფლებსა და ქალაქებში შენიშნეს აღმოდებული ცა და გაიგონეს აფეთქების ხმა. უფრო ახლო ადგილებს კი ცხელმა ქარმა გადაუქროლა, დასწვა და შეტრუსა ყოველივე.

იმ საღამოს კიდევ ერთი სასწაული მოხდა: არ დაბნელდა. გაშუალამეგდა, გარეთ კი ისევ დღისებრი სინათლე იდგა. მთელი ცა რალაც ნათელი, მოვერცხლისფრო მტვრით იყო დაფარული.

თეთრი ღამე დადგა პარიზსა და ბერლინში, მთელ ევროპაში. მიწისძვრა კი ევროპასაც გასცდა. ამერიკასა და ავსტრალიაში იგრძნეს მიწის რყევა.

საღლაც ტაიგაში ჩამოვარდა უზარმაზარი სიდიდის მეტეორიტი, ისეთი, როგორიც დედამიწაზე მხოლოდ ათასწელიწადში ერთხელ თუ ვარდება.

* * *

მაშინ, 1908 წელს, არავინ სერიოზულად არ დაინტერესებულა ამ მო-



ვლენით. მეტეორიტის დაცემის ადგილიც კი არ ყოფილა მოძებნილი.

გაიარა ცამეტმა წელმა. 1921 წელს ციმბირში გაემართა მეცნიერებათა აკადემიის პირველი მეტეორიტული ექსპედიცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა კულიკი. სწორედ აქ იყო, მოხუც ევენკისაგან „ქუხილის ღმერთის“ შესახებ მონაცოლი რომ მოისმინა.

კულიკმა მოინდომა მაშინვე ეპოვნა კატასტროფის ადგილი, მაგრამ მალე იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო — ექსპედიციის აღჭურვილობა ძალზე ღარიბი იყო და თან ევენკები კატეგორიულად უარობდნენ იმ ადგილისაკენ წასვლას.

პეტროგრადში დაბრუნებულმა კულიკმა აკადემიას დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინა და 1927 წელს ციმბირში ახალი ექსპედიცია იქნა გაგზავნილი.

* * *

ტაიგაში ვადადგმული ყოველი ნაბიჯი დიდ ჯაფას მოითხოვდა. ჯერ ნადირთა ბილიკებს მიჰყვებოდნენ, მერე ისიც გაჰქრა. უჭირდათ ცხენებს. ექსპედიციის წევრები ნაჯახებით იკვალავდნენ გზას. მაგრამ მეტრს მეტრი ემატებოდა და ექსპედიცია ნელ-ნელა მაინც მიიწვედა წინ.

ბოლოს გამოჩნდა კატასტროფის პირველი ნიშნები: წაქცეული და მოთხრილი ხეები.

კულიკი დღიურში წერდა:

„გარშემო დიდი ტყის ნასახიცი არა ჩანს, ყველაფერი მოთხრილი და დამტვრეულია. გული მეკუმშება, როდესაც ვუყურებ ამ უზარმაზარ ხეებს, კანაფივით რომ მოფენილან ძირს.“

ასე მიდიოდა თვეები. ასეთულობით კილომეტრი გზა დამწვარ-დაჯიჯგნილ ტყეში. ბოლოს, როგორც იქნა, მიადრწიეს. წინ ჭაობიანი ველი გადაიშალა,

გარშემო კი, ათეულობით კილომეტრზე, მარაოსავით გაშლილი ტაიგის ტყე წაფენილიყო.

ცნობილია, რომ, როდესაც მეტეორიტი პატარაა, იგი ატმოსფეროში იწვის ხოლმე და დედამიწამდე ვერ აღწევს; ხოლო, თუ მეტეორიტი დიდაა, მაშინ იგი ვერ ასწრებს დაწვას, ეცემა დედამიწაზე და ორმოს აჩენს. ამ შემთხვევაში ხომ ყველაფერი იმაზე ლაპარაკობს, რომ ჩამოვარდნილი მეტეორიტი უზარმაზარი, მილიონობით ტონა სიმძიმისა იყო; მაშასადამე, უნდა არსებობდეს კრატერი და იქვე, ალბათ, მეტეორიტის ნიშნებიც იქნება, — მსჯელობდა კულიკი.

მაგრამ არა.

გამოცანები სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც მან კატასტროფის დაახლოებითი ადგილი იპოვა: კრატერის რაიმე ნასახიცი კი არ სჩანდა ირგვლივ.

შეიძლება მეტეორიტი ჰაერშივე დაიფშენა, დაიფანტა, — ფიქრობდნენ მეცნიერები და პატარა, ჩაღრმავებული ადგილების გათხრა დაიწყეს. ამოიღეს ტონობით მიწა, სულ გადათხარეს იქაურობა, მაგრამ არა და არა, მეტეორიტის კვალიც კი არ აღმოჩნდა მიწაში.

1939 წლის ექსპედიციის შემდეგ, როგორც იქნა, მაინც მოხერხდა ზოგიერთი საკითხის დაზუსტება, და სწავლულებმა რამდენიმე მეტად ზოგადი დასკვნის გამოტანა მოახერხეს. ერთ-ერთი დასკვნა ასეთი იყო: მეტეორიტი ისე სწრაფად მოჰქროდა, რომ წარმოიშვა დიდი ტემპერატურა, ამიტომ იგი აფეთქდა და მტვრად დაიშალა. მაგრამ დიდ აფეთქებას ხომ აუცილებლად კრატერი უნდა დაეტოვებინა? კრატერი კი არსად სჩანდა.

იმხანად საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა. შემდეგ დაიწყო სამამულო ომი. კულიკი მოხალისედ წავიდა ფრონტზე და შინ აღარ დაბრუნებულა — სამშობლოს თავისუფლებას შესწირა თავი.

გავიდა დრო, მაგრამ მეტეორიტი არ დავიწყებიათ. ახალი ჰიპოთეზა სრულიად მოულოდნელად დაიბადა. მწერალ ფანტასტიკოსებმა კაზანცევმა და დიაპუნოვმა გამოთქვეს აზრი, რომელიც მეტად გაბედული და საინტერესო იყო: შესაძლოა ეს სრულიადაც არ იყო მეტეორიტი. აფეთქება, ჩანს, ჰაერში მომხდარა, მეტეორიტი კი თავისით ვერ აფეთქდებოდაო, — ამბობდნენ ისინი, და ასკვნდნენ, რომ ალბათ ეს საპლანეტათშორისო ხომალდი იყო, რომელსაც დედამიწასთან მიახლოებისას კატასტროფა შეემთხვა და აფეთქდა.

ასტრონომები ხომ ფიქრობენ, რომ სიცოცხლე რაღაც ფორმებით სხვა პლანეტებზედაც არსებობს? მაშინ ხომ შესაძლოა, ეს კოსმოსური სტუმარი ყოფილიყო მარსიდან ან ვენერადან? ალბათ, მიწაზე დაშვების დროს, ატომის ძრავა, რაღაც მიზეზის გამო, ჰაერშივე აფეთქდა და, ცხადია, კრატერი ამიტომ არ გაჩნდაო.

ეს კიდევ არაფერი. ასტრონომებმა გამოიკვლიეს, რომ ვენერადან დედამიწისაკენ წამოსულ მგზავრს, სწორედ 1908 წლის ივლისი უნდა აერჩია მგზავრობის დღედ, რადგან ამ დღეს ეს ორი პლანეტა მაქსიმალურად დაუახლოვდებოდა ერთმანეთს. ამას ისიც დაემატა, რომ უკანასკნელი ექსპედიციის დროს იმ ადგილებში ზომაზე მეტი რადიოაქტიობა აღმოჩნდა, რაც ატომური აფეთქების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ეს მსჯელობის ერთი მხარეა მხოლოდ და, ცხადია, ამის საწინააღმდეგოდაც მოჰყავთ საბუთები. ამბობენ, რომ თუ ეს მართლაც კოსმოსური სტუმარი იყო, რატომ შემდეგი 50 წლის მანძილზე ერთხელ მაინც არ სცადეს დედამიწისაკენ გამოფრენაო.

მართალია, მეცნიერებს ჯერ ზუსტად არ უპასუხნიათ ამ კითხვაზე, მაგრამ მალე ადამიანის ყოვლისშემძლე გონება ალბათ ამ საიდუმლოებით მოკლულ მოვლენასაც ახსნის.

გადაკვირვონ ვაზიძე

ქ

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

განთიადია. თავისი სახლის წინ მეეზოვე ფოთლებს ჰგვის. მოულოდნელად, ცოცხი რალაც საგანს მოხვდება; იგი აფიშებში გამოხვეული, ბედის ანაბარა მიტოვებული თოთო ბავშვი აღმოჩნდება. ასეთი შინაარსისაა ჩვენი სასიქადულო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პატარა ლექსი „ბავშვი გაზეთში“. ჩვიდმეტოდე სტრიქონში შესანიშნავად არის დახატული რევოლუციამდელი ცხოვრების ერთ-ერთი დამახასიათებელი სურათი.

გალაკტიონ ტაბიძეს მეფის თვითმპყრობელობის დროს მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და ამიტომ საკუთარი თვალთ ხედავდა მთელ იმ საშინელეზებს, რაც მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილებას მოჰქონდა მშრომელი ხალხისათვის.

განსაკუთრებული გულისტკივილით განიცდიდა პოეტი კაპიტალიზმის ტყვეობაში მოხვედრილი ბავშვების მწარე ხვედრსა და უნუგეზო ცხოვრებას. გ. ტაბიძე მუდამ სიბრაღულითა და სიყვარულით სწერდა პატარებზე, უთვისტომოდ. ულუკმაპუროდ დარჩენილ მოზარდებზე, მკათიო ფერებით ხატავდა უსახლკარო, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მდგომარეობას. აი, რას ამბობს იგი ლექსში „უბინაო ბავშვები“:

„ო, განწირულო და დაღუპულო,
ო, უბინაო, უგზო, უფულო,
არც სამოსელი, არც ხელთათმანი...“

მაგრამ დაიქუხა ოქტომბრის რევოლუციამ და, სამი წლის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ახალმა, თავისუფალმა ცხოვრებამ ძირფესვიანად შეცვალა მოზარდი თაობის ცხოვრება. საბჭოთა ეპოქამ შრომელთა შეილებს ბედნიერება და სიხარული დაუმკვიდრა, ფართო გასაქანი მისცა მათ ნიჭსა და უნარს.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაშიც ბავშვთა სრულიად ახალი სახეები გამოჩნდა: ლალნი, მხიარულნი. სიცოცხლით სავსენი. პოეტი შთამაგონებლად ესაუბრება პატარებს, უხსნის მათი ცხოვრების მიზანს, მოუწოდებს იყონ ღირსნი იმ მზრუნველობისა, რასაც მათდამი საბჭოთა ხელისუფლება და პარტია იჩენენ:

„პიონერო, იყავ ღირსი ახალი ყოფაცხოვრების,
შენ ხანა არ გაგივლია ძველი გამათხოვრების.“

...მშენებლობა მოდის ქვეყნად, ჯერ რომ არსად
ნახულა,

პიონერო, ეს დღეები შენთვის გამოსახულა“.

საბჭოთა მოსწავლის უპირველესი მოვალეობა ხომ ცოდნის დაუფლებაა, რათა გახდეს კომუნისტური საზო-



საქართველო
ბავშვთათვის

ნახ. ალ. ბანძელაძისა

გაღობის ღირსეული მოქალაქე. და პოეტიც სწორედ აქეთკენ მოუწოდებს მას:

„გიყვარს ველად გავლა
და მწვერვალზე ადი:
თავდადებით სწავლაც
მწვერვალია, რატი!“

გალაკტიონ ტაბიძეს მთელი გულით უყვარდა ნორჩი თაობა, აღფრთოვანებით უმღეროდა მათი. ცხოვრების ნამდვილ გაზაფხულს, ახარებდა მათი ყოველი წარმატება. პატარებზეც თავის მხრივ ცდილობდნენ ეგრძობინებინათ ძვირფასი პოეტისათვის. თავიანთი მხურვალე სიყვარული და მადლიერება: ამიტომ ეპატიებოდნენ ისინი ასე ხშირად მას სკოლებსა და ბანაკებში, ნორჩ აღსაზრდელთა სახლებში, მხატვრულ დილებსა და საღამოებზე...

დღეს კი პიონერ-მოსწავლეები დაუვიწყარი მგოსნისადმი სიყვარულს მისი მდიდარი, მრავალფეროვანი პოეტური მემკვიდრეობის გულმოდგინე შესწავლით გა-
მოხატავენ.

გ. მეზუკე



ერეკლე - ჯარითოსკან

შეღმავლე-გამომცდელის ბინაზე ტელეფონი აწკრიალდა: „პატივცემულო კონსტანტინე! გთხოვთ, საჩქაროდ მობრძანდეთ ქარხანაში პიონერული ელმავლის გამოსაცდელად“.

„პიონერული ელმავალი!“—გაუკვირდა ძველ რკინიგზელს, მაგრამ დიდხანს არ უფიქრია, ყურმილი დასდო და საწარმოს მიაშურა.

საამწუბო საამქროში უჩვეულო ფუსფუსი იდგა. მუშებს სახელდახლო ტრიბუნა გაემართათ, იქაურობა ყვავილებით შეემკოთ და აშკარად ეტყობოდათ ვილაციის მოლოდინში იყვნენ.

— ნეტავ რაშია საქმე?—გაიფიქრა კონსტანტინე პატარაიამ. ამ დროს პიონერული საყვირისა და დოლის ხმა გაისმა. საამქროს კარებში პიონერები გამოჩნდნენ. ელმავალმშენებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ

პატარა სტუმრებს. მათ ხომ ამ რამდენიმე თვის წინ 250 ტონა ლითონის ჯართი შეაგროვეს, თბილისელ ელმავალმშენებლებს ჩააბარეს და რვალერძიანი მაგისტრალური ელმავლის—„პიონერის“ აშენება სთხოვეს; მშენებლებმა თხოვნა შეუსრულეს ნორჩ დამკვეთლებს და აი, დღეს პიონერები შეკვეთის მისაღებად მოვიდნენ.

ელექტრომავლის გასადების მიღების უფლება ლითონის ჯართის საუკეთესო შემგროვებლებს,—თბილისის მე-7, მე-11, მე-13 და მე-15 სკოლის მოსწავლეებს მიენიჭათ. პიონერებმა იგი საზეიმო ვითარებაში ძველ გამომცდელს, პატივცემულ კონსტანტინეს გადასცეს. შემდეგ ყველანი ელმავლის კაიუტებში მოთავსდნენ და „პიონერი“ საგამოცდო რეისში გაემგზავრა.

მ. ფიჩხაძე



მოქრის მინდორ-ველებს
სწრაფი გადამლახველი.
იტყვი, რად აქვს ელმავალს
„პიონერის“ სახელი?
იცით, პიონერებმა
კარგი საქმე ითავეს,
ქარხანაში რამდენი
ჯართი გადაიტანეს.
მოაქურეს, თუ სადმე
ნახეს თუჯის ნაწილი,
არ დატოვეს თუნუქი
ქარ-წვიმისგან დაშლილი;
ძველი ველოსიპედი,
გატეხილ-დაბრეცილი,
დაჭანგული ღუმელი,
ჩაზნექილი კეცივით.
დიდი ავტომანქანის
ლერძი ორად გამტყდარი,
ხმარებიდან გასული
ტაფა, ქვაბი, ჩანგალი.
მოქწონდათ და მათ საქმეს
ყველა ტაშით ხვდებოდა,
რომ გენახათ, სკოლის წინ
მთები გეგონებოდათ.
— კმარა ელმავლისათვის,
ტოლმა ტოლებს ახარა.
წაიღეს და მთლიანად
ჩააბარეს ქარხანას.
იქ კი ჯართი დაადნეს,
ჩამოასხეს ლამაზად,
შრომა პიონერების
კიდევ უფრო დაფასდა.
ალარ ვიტყვი, მიხვდებით,
გახდა უკვე ნათელი,
თუ ელმავალს რად ჰქვია
„პიონერის“ სახელი!

პ. გორბანელი



ეს ამბავი 1958 წლის მაისში მოხდა. სკოლიდან დაბრუნებული მირეკი სირბილით მიიჭრა შინ.—დედა, დედიკო! იცი, მე პრეზიდენტთან მივემგზავრები!—სულმოუთქმელად უთხრა ბიჭუნამ და გაცეხულ დედას ხელში პიონერული გაზეთი მიაჩეჩა,—ყველაფერი აქა სწერია. გუშინ კი ჩვენი რაზმეულის შეკრებაზე ჩემმა ამხანაგებმა მე ამირჩიეს ლანიში*) გასაგზავნად.

გაცეხულმა დედამ გაზეთი გაშალა და გაიგო, რომ ოლმომუცის თერთმეტწლიანი სკოლის პიონერებს, როცა ისინი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის—ანტონინ ზაპოტოცკის ნეშტს ეთხოვებოდნენ, პირობა დაედვათ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოიპოვონ „სოციალიზმის ნორჩი მშენებელის“ წითელი ლენტი. ამ პირობის შესრულება არც თუ ისე იოლია. ვისაც ამ ლენტის მოპოვება ხურს, იგი რესპუბლიკას უნდა დაეხმაროს: უნდა იმუშაოს მოხალისეთა ბრიგადებში არა ნაკლები 10 საათისა, შეაგროვოს და ჩააბაროს ხელ მცირე 15 კილოგრამი ქალაქის მაკულატურა, 30 კილოგრამი ლითონის ჯართი, იყოს ხანიმუშო მოხწავლე, ნამდვილი პიონერი.

მეექვსეკლასელებსათვის რომ გეკითხათ, დაიმსახურა თუ არა მირეკ სვობოდამ ლანიში პრეზიდენტთან გამგზავრების უფლება, ისინი ერთხმად გიპასუხებდნენ: „დაიმსახურა“, „ღირსია“, „მან პირველმა მიიღო ჩვენი სკოლაში „ნორჩი მშენებელის“ ლენტი“, „იგი კარგად თამაშობს მარცხენა დამცველად“, „კარგი ამხანაგია“, „იგი ჩვენი რგოლის მედროშეა“. ყველაფერი ეს მართალია. მირეკი ხშირად დადიოდა მამასთან ერთად მოხალისეთა ბრიგადაში სამუშაოდ, რამდენიმე საათი დედის მაგივრადაც იმუშავა თავის ქუჩაზე. თავისუფლების ქუჩაზე, სადაც სვობოდას ოჯახი ცხოვრობს, სამუშაო გამოუღევდელია. მწვანე გაზონები და საერთოდ ქუჩა ყოველთვის მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს.

მირეკის მამა ხშირად მუშაობს მოხალისეთა ბრიგადაში, იგი ქარხნის მუშაა, კომუნისტია, და მირეკმა კარგად იცის, რატომ მუშაობს მამა ასე თავდადებულად...

— არა, მირეკ სვობოდა ანგელოზი არ გეგონოთ,—აღნიშნეს პიონერხელმძღვანელმა ფრიდრიშოვამ და მასწავლებლებმა.—იგი ჩვეულებრივი ბიჭია მუშის ოჯახიდან. მასაც აქვს ზოგი რამ სასაყვედურო, ხანდახან მამა კიდევ ტუქსავს ხოლმე ბიჭუნას იმის გამო, რომ იგი ხშირად უფრო მეტ ინტერესს იჩენს ყოველგვარი სპორტული შეჯიბრებებისადმი, ვიდრე სწავლისადმი...


მირეკ სვობოდას გამგზავრებამდე პიონერებმა. რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ნოვოტნის გაუგზავნეს წერილი, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ მათმა რაზმეულმა უკვე 2.300 საათი გამოიმუშავა მოხალისეთა ბრიგადაში, შეაგროვა 5.040 კილოგრამი ლითონის ჯართი და 7.370 კილოგრამი ქალაქის მაკულატურა, და რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ადებული ვალდებულება შეასრულონ და მიიღონ „სოციალიზმის ნორჩი მშენებელის“ წითელი ლენტი.

არც მირეკი გამგზავრებულა გულხელდაკრეფილი. მან გამგზავრების წინ კიდევ 6 საათი გამოიმუშავა მშვიდობის პიონერულ ვახტზე და 250 კილოგრამი ლითონის ჯართი ჩააბარა სახელმწიფოს.

შესაძლებელია, მირეკი, როგორც ის ოცნებობს, მართლაც გახდეს ინჟინერი-მშენებელი. მაშინ იგი, ახალი ქარხნების მშენებლობას რომ დაიწყებს და ახალი ავტომატური მანქანების შექმნაზე იმუშავებს,—უსათუოდ მოიგონებს მაისის იმ პიონერულ შეკრებას, რომელზედაც იგი ერთხელ ოცნად აირჩიეს პრეზიდენტთან გასაგზავნად. ეს ყველაფერი მირეკის მეხსიერებაში დარჩება, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა მისი ცხოვრებისა.

ფ. ტრნავსკი

*) ლანი—ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ქალაქგარე რეზიდენცია. აქ ყოველწლიურად ეწყობა პიონერებისა და პრეზიდენტის შეხვედრები.



ბრ. მუსხი
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ბრ. მუსხი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მრავალი დამთვლიერებული მოდის ბორის ძნელადის სახელოზის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლეში სახეითი ხელოვნების ბავშვთა მორიგ რესპუბლიკურ გამოფენაზე, რომელიც აქ ამ რამდენიმე ხნის წინ გაიხსნა. მნახველთა თვალწინ მშვენიერი ხანა-ხაობა იწვლიდა: ფართო და ნათელი დერეფნის კედლები მოფენილია მრავალი ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნამუშევრებით, რომლებიც ჩანაფიქრითა და შესრულების ხარისხით ნორჩ შემოქმედთა უდავო ნიჭიერებაზე მეტყველებენ.

აი, ქუთაისის მე-7 სკოლის მერვე კლასის მოსწავლის თეიმურაზ მელაძის ფერწერული ნახატი «წისკვილი»... მშვენიერადაა გადმოცემული ძველი წისკვილის დამახასიათებელი იერი. თეიმურაზი კარგად არჩევს ფერებს, კარგად ხედავს ხილრმეს, წინა და უკანა პლანს. მას საგნის ფორმა შექანაკურად კი არ გადმოაქვს,—იგი წისკვილს მხატვრის თვალით უკურებს. ასევე მოწონების ღირსია მისი «სოფლის კუთხე». ფუნჯის რამდენიმე გაბედული მოხმა, და ხაგნები უკვე იღებენ თავის ფორმას, სივრცეში განლაგებას.


საინტერესოა ქუთაისელი გურამ დოღენჯერიშვილის გრაფიკული ნამუშევრები: «სახიზინდე» და «ორი ხე». ავტორი ჩინებულად ფლობს ფანქარს; ხაზები მეტყველი და გაბედულია.

მახარაძელი კოტე ვანიძე წარმოდგენილია ერთი სურათით: აშოლტილი ევკალიპტების ქვეშ გაშლილ ჩაის პლანტაციას მკრეფავები შეხევიან. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საგანთა ურთიერთ პროპორციული შეფარდება.

კარგია თბილისის 47-ე სკოლის მეთთბეკლასელის—ზურაბ ზურაბიშვილის მიერ შესრულებული მონახაზები; მათთვის დამახასიათებელია მოქნული ხაზებით მეტყველება. ოთხსავე ნამუშევარში ჩანს ადამიანის ფიგურის კარგი ცოდნა. კიდურების მოძრაობა გამოკვეთილია.

ყურადღებას იქცევენ როგორც გააზრებით, ასევე შესრულებით თბილისელი მოსწავლის ვალერი ბაბაძის ნახატი «შემოდგომის დღე». კარგია მისივე «არწივი».

დღეი კმაყოფილებით უცქერენ გამოფენის დამთვლიერებლები



11 «წისკვილი»—თეიმურაზ მელაძე. ქუთაისი;
12 «სოფლის კუთხე»—მისივე; 13. «ბრძოლის წინ»—
მ. ი. თ. გ. ო. რ. დ. ე. ლ. ა. ძ. თ. ბ. ი. ს. ი.

მოწყობა

რეინაზა



8009

სურათებზე: 1. «საქართველოს სამხედრო გზა»—სულკოკალანდაძე, თბილისი; 2. მონაზაზი—სურაბ ზურაბიშვილი, თბილისი; 3. «წყაროზე»—თამაზ ხუციშვილი, თბილისი; 4. ავტოპორ.—მისივე; 5. ილუსტრაცია «მაგდანას ლურჯადანს»—მისივე;




მონაზაზებს, რომელთა ავტორია თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მენამეკლასიანი შიტო გორდელაძე. ვახაოცარია, რომ ესოდენ ნორჩი მხატვარი ასე კარგად ახერხებს მრავალფეროვან კომპოზიციის შექმნას.


მომავალი მხატვრის თვალი ჩანს თბილისელი მოხვადლის თამაზ ხუციშვილის ნამუშევრებში; ესენია: ილუსტრაცია «მაგდანას ლურჯადანს», კალმით შესრულებული «ავტოპორტრეტი» და ფერწერული ნახატი «წყაროზე».

კიდევ ბევრი, მოწონების ღირსი ნიმუშებია წარმოდგენილი გამოფენაზე. მათი ავტორები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი არიან. საწყენია, რომ სრულებით არაა წარმოდგენილი თელავისა და კიათურის პიონერ-მოსწავალეთა ნაწარმოებები. წარსულ გამოფენებზე ამ რაიონების ნორჩ მხატვართა ნამუშევრები ხერხო მოწონებას იმხახურებდნენ.

სახვითი ხელოვნების ბავშვთა რესპუბლიკური გამოფენა უთუოდ ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის მხატვრული აღზრდის საქმეს და მომავალ მხატვრებს შემდგომ წრდასა და დაობტატებში დაეხმარება.

9. «სასიმინდე» — გურამ დოღენჯერიშვილი, ქუთაისი; 10. «ორი ხე» — მისივე; 7. «არწივი» — ვალერი ბახტაძე, თბილისი; 8. «შემოდგომის დღე» — მისივე; 6. «შემოქმედის მონასტერი» — კოტე ვანიძე, მახარაძის რაიონი.





„მთვარეზე გაფრენა“

ქვემოთხსენიებული ოლქის მეფურეჩენსკელმა პიონერებმა გამოიგონეს თამაში, რომელსაც „მთვარეზე გაფრენა“ ეწოდება. მასში ქალაქის ყველა პიონერული რაზმეული მონაწილეობს.

ბავშვებმა დახატეს დიდი, ვარსკვლავებიანი ცა; ქვემოთ დედამიწაა დახატული ზემოთ კი—მთვარე. სტარტზე დადგეს შვიდი რაკეტა. თითოეული რაზმეულის რაკეტას თავისი სახელი აქვს.

ყოველ პიონერულ რაზმეულს მიჩენილი აქვს ქალაქის რომელიმე უბანი, სადაც იგი თვალყურს ადევნებს,—ხომ არ ანთია სადმე ელექტრონათურა

დღისით. მთვარემდე რაკეტის ასაფრენად რაზმეულმა ტყუილშტრალოდ ანთებული 380 ნათურა უნდა აღმოაჩინოს. ერთი ნათურა ათას კილომეტრს უდრის.

ყოველდღიურად კლებულობს რაკეტების სისწრაფე, ვინაიდან სულ უფრო ნაკლებ ანთია ნათურები დღისით. სამაგიეროდ, დაზოგილი ელექტროენერგია შახტებსა და მშენებლობებს მოხმარდება.

ВОЖАТЫЙ

სპორტსმენთა ჯგოლი

რიახანის მე-14 სკოლაში რგოლების შემრავლესობა ისეა შექმნილი, რომ ერთი და იმავე რგოლის პიონერები ერთმანეთთან ახლოს ეხვებიან. ამის

წყალობით ბავშვები ერთად ასრულებენ საშინაო დავალებებს; მთელი რგოლი ერთად მიდის კინოსა და საშუალო საბავშვო სახლში; დილაობით რომელიმე ეზოში ერთად იყრიან თავს და გამამხნეველ ვარჯიშს ატარებენ. ზამთარში კი თბილამურებით დილის ხანმოკლე სეირნობას აწყობენ.

აქ, როგორც წესი, რგოლი იგივე გუნდია: გუნდი ფრენბურთელების ან კალათბურთელებისა, ფეხბურთელების ან ძალოსნებისა. ზოგჯერ კი ესეც არის და ისიც. ბევრია რაზმეულში მრავალმხრივი სპორტსმენი.

ბავშვები ერთად დადიან საწვრთნელ მეცადინეობებზე, ერთად გამოდიან შეჯიბრებებზე და რაზმის ღირსებას იცავენ. ყოველივე ამის გამო, რაზმის საბჭოსათვის იოლი საქმეა, შეამოწმოს, თუ როგორ ეუფლება თითოეული პიონერი სპორტულ ჩვევებსა და ოსტატობას.

დრაკონის კანონი

ქლომბელი, სასტიკი კანონი.

დრაკონი ათენის რესპუბლიკის კანონმდებელი იყო, რომელიც VII საუკუნეში ცხოვრობდა. დრაკონის მიერ შემუშავებული კანონები მიმართული იყო ხალხის უფლებათა შეზღუდვისაკენ და სიმკაცრითა და დაუნდობლობით გამოირჩეოდა. ძველი ბერძენი მწერალი პლუტარქი ჰყვება, რომ ამ კანონს თითქმის ყოველგვარ დანაშაულზე ერთი პასუხი ჰქონდა—სიკვდილი. სიკვდილით სჯიდნენ კაცის მკვლელსა და მათხოვარს, ხილის ქურდსა და მოჩხუბარსაც. ტყუილად როდი ამბობდნენ, რომ დრაკონის კანონები მელნით კი არა, სისხლით არის დაწერილი. როდესაც დრაკონს ჰკითხეს, თუ რა იყო მიზეზი ასეთი მკაცრი სასჯელების მოგონებისა, მას უპასუხნია: მცირე დამნაშავენი სიკვდილის ღირსად მიმაჩნია, დიდ ბოროტმოქმედებს კი დასასჯელად სიკვდილზე მეტი ვერაფერი მოვუგონეო.

ჰყვებიან, რომ ხალხის დასაშინებლად დრაკონი თურმე უსულო საგნების გასამართლებას და დასჯას მოითხოვდა. კუნძულ ფაზოსზე დადგეს განთქმული ათლეტის თეაგონის ქანდაკება. როდესაც თეაგონი გარდაიცვალა, ერთი კაცი, რომელიც მას სიცოცხლეში დაბრიყვებული ჰყოლია, ღამ-ღამობით მიეპარებოდა თურმე ქანდაკებას და საათობით სცემდა წვეპლით. ერთხელ ქანდაკება წაქცეულა, უგუნური შურისმაძიებელი ქვეშ მოუქცევია და გაუსრესია. დრაკონის კანონის მიხედვით, ქანდაკება,

როგორც კაცის მკვლელი, სიკვდილით დასაჯეს—ზღვაში გადაისროლეს.

ჯადოსნური წრი

ბამოუვალი მდგომარეობა, გარემოება, რომელიც საშუალებას არ იძლევა ბოლომდე იქნას მიყვანილი საქმე.

ძველად ფიქრობდნენ, რომ ზოგიერთ ადამიანს, რაღაც განსაკუთრებული შელოცვებით, უნარი აქვს შექმნას თავის გარშემო მტრული ძალებისათვის მიუწვდომელი სივრცე. სწამდათ, რომ საგნები, რომლებიც ამ შელოცვილ არეში მოხვდებოდნენ, სხვა თვალისათვის შეუმჩნეველი გახდებოდნენ; ადამიანი, რომელიც ამ წრეში მოხვდებოდა, იქიდან თავს ვეღარ გამოიხსნიდა.

იცოცხლეთ!

ქაცს, რომელიც ცხვირს დააცემინებს, ბევრჯერ ეტყვიან: «იცოცხლეთ!».

ეს ჩვეულება ძველად გავრცელებული იყო რომში, საბერძნეთში, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში.

ლეგენდა ამბობს, რომ პრომეთემ თიხისაგან გააკეთა კაცის ქანდაკება და შთაბერა ნაწილი იმ ცეცხლისა, ზევსს რომ მოსტაცა.

ქანდაკებამ ცხვირი დააცემინა და გაცოცხლდა. პრომეთემ უთხრა: «იცოცხლე!». ამის შემდეგ ადამიანებმა შემოიღეს ეს თქმა ცხვირის დაცემინებისას.

კანონი და დრაკონი



ზარი დაირეკა. ჩხი-
კვთელი მოხწავლეე-
ბი სკოლის ეზოს
მოეფინენ.

იხაროს თქვენს მარჯვენა

კირველი ნაბიჯები

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჩხიკვთას შვიდწლიანი სკოლის მოსწავლე გოგონებს ფარლალა საქათმესთან მოეყარათ თავი და სკოლის ზოოლოგიური კუთხის გამო კამათობდნენ. ზოგს მისი გაზრდა-გამდიდ-

რება კურდღლების ხარჯზე სურდა, ზოგს კი ქათმების მოშენება უნდოდა.

— კურდღლებიო, რომ გაიძახით, ისინი ხომ ისედაც ბევრი გვყავს, — ცხარობდა ცილა გუგუშვილი. — ქათმები კი თითებზე ჩამოსათვლეია. სხვა რომ არა იყოს რა, მათი მოვლა-

პატრონობაც ხომ უნდა ვისწავლოთ?

— კარგი, თუ ასე გინდათ, მოაშენეთ. მაგრამ, აბა, რანაირად? ქათმები რომ არა გვყავს?


— როგორ თუ არა გვყავს? მართალია, ცოტა, მაგრამ მაინც ხომ გვყავს. აი, მათ მოვაკრუხებთ, წიწილებს გამოვაჩეკინებთ, დავზრდით და...

— ოჰო-ჰო-ჰო! გლახაკისა და ქილა ერბოსი არ იყოს... კარგი ოცნებაა!..

— რათა ოცნება! ამის გაკეთება არც თუ ისე ძნელია. — ჩაერია საუბარში შეუმჩნეველად თავზეწამოდგარი სკოლის დირექტორი. — ქათმების მოკრუხებისა რა გითხრათ, მაგრამ, აი, წიწილებს კი ნამდვილად გამოვიყვანთ სარაიონო ინკუბატორიდან.

— მაშინ მათ ახალი საქათმეც დასჭირდებათ.

სულ მალე ახალი-საქათმე ვარიების კრიზმა აახშიანა, გოგონების სიხარულს ხაზღვარი არა მქონდა.



— მერე რა, საქათმესაც ავაშენებთ. ქვა-ლორღი ჩვენ არ გვაკლია და ხე-ტყე. ხელს რა შეგვიშლის...

ეს იყო და ეს. საუბარი ამით დამთავრდა.

მეორე დღეს მოსწავლეებმა ალგეთისპირა ხევები დაირბინეს, საშენი მასალა ამოზიდეს და ახალი საქათმის აშენება დაიწყეს. მუშაობდნენ მონდომებით, გულმოდგინედ. ყველას—დიდსა თუ პატარას—საკუთარი წვლილი შეჰქონდა საერთო საქმეში.

სულ მალე ახალი საქათმე წიწილების წიაქმა აახშიანა. გოგონების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— ლილი, ფქვილი აზილე!

— მზიური, კვერცხი მზადაა?

— ცილა, რას დგებარ! ცეცხლი დაანთე,—ვერა ხედავ, წიწილები საცოდავად მობუზულან!..

ფუსფუსებდნენ ჩხიკეთელები, თავს ევლებოდნენ „ობლებს“, დღეში ოთხჯერ აპურებდნენ. საკვებად აზელილი სიმინდის ფქვილს, მოხარული კვერცხის გულსა და წვრილად დაკეპილ მათიტელას აძლევდნენ.

გოგონების საქმიანი ფუსფუსი „შური“ ავსებდა ბიჭებს. მათაც გულით ეწადათ საქათმეში შესვლა, წიწილების მოვლა-პატრონობა, მაგრამ მექათმე გოგონები, როგორც კი საქათმეში შესულ ბიჭებს დაინახავდნენ, დამცინავად შეუძახებდნენ: ქათმების მოვლა რა ბიჭების საქმეა! თუ გული გერჩით და ვაჟკაცები ხართ, საქმეც შესაფერი, ვაჟკაცური მონახეთო.

ბიჭებს მართლაც გაუჩნდათ შესაფერი საქმე.

სკოლამ ათიოდე გოჭი შეიძინა, სულ პატარები, ჭირვეულები. დედის მზრუნველობას ნაადრევად მოწყვეტილებს ფერდებში ლანდი გასდიოდათ. მაგრამ ელგუჯა რამაზაშვილი ხომ, აქ იყო თავისი მეგობრებით. სწაფად შეიქმნა მელორეობის რგოლი, შეადგინეს მორიგეობის სია, გამოყვეს ორ-ორი მწყემსი. შეაკეთეს და დაასუფთავეს სადგომი, საკუთა-

რბ ხელით გააკეთეს გეგები და პირველ დღეს პატარებს „აზაზანაც“ კი მიაღებინეს.

სულ მალე ბავშვებს ახალჩამოყვანილმა მტრედებმა ბარტყები გამოჩეკეს.

ჭირდა, ნამდვილად ჭირდა პირველ ხანებში მუშაობა. ხუმრობა ხომ არ არ არის კურდღლების, ქათმების, ღორებისა და მტრედების ერთდროულად მოვლა. ყველას უნდა გაწვდნენ, მოუარონ, დააპურონ და დააბინავონ, მაგრამ ჩხიკეთელი პიონერები როდი წუწუნებენ. პირიქით, შრომასთან ერთად წარმატებით სწავლობენ.

შამირი გაბანილია

მართალია, ცხოველები და ფრინველები ბლომად მოამრავლეს მოსწავლეებმა, მაგრამ ყველა ამით ხომ საკვებიც ბლომად უნდათ და ამდენი საკვები კი საიდან უნდა გაეჩინათ?

— ნაკვეთი ავიღოთ, სიმინდი მოვიყვანოთ,—წამოიძახა პატა ტყეშელაშვილმა.

— ახალი ნაკვეთი?

— ვინ მოგვცემს?

— კოლმეურნეობა მოგვცემს. ჩვენი სკოლის ეზოს რომ ემიჯნება, აი ის ნაკვეთი ავიღოთ: დღემდე არავის გამოუყენებია, ყამირად ითვლება. კოლმეურნეობაც ადვილად შეეღებება—ქვა-ლორღითაა სავსე...

— რაო, ეს ნაკვეთი გინდათ?—გაიოცა კოლმეურნეობის თავმჯდო-





მარემ, როცა მოსწავლეებმა ნახევარი ჰექტარი ფართობი მიიზომეს.— აქ რა უნდა მოიყვანოთ?

— სიმინდი, ძია გიორგი. თანაც ჰექტარზე 18 ცენტნერი კი არა, როგორც კოლმეურნეობაში, არამედ—25.

— ოჰო!.. გეტყობათ, აღარ ხუმრობთ. თუ ასეა, მაშინ... გაისად, კოლმეურნეობის საუკეთესო ნაკვეთიდან 4 ჰექტარს დაგიტოვებთ.

მოსწავლეებმა აღებული ნაკვეთი სამიოდე დღეში გაასუფთავეს, 30 სანტიმეტრის სიღრმეზე დაბარეს, სარები მოზიდეს და კუნელის ჯაგით შემოაკავეს.

მიიღია მარტის თვე.

მოსწავლეები სიმინდის თესვას შეუდგნენ.

თესდნენ ხელით, მიმობნევეთ. რამდენიმე დღის შემდეგ ნათესში წუნწუხიცი შეიტანეს.

ერთ თვეში სიმინდი ამოიწვერა, აიშალა. საჭირო იყო პირველი თოხი.

სამუშაოდ კვირა დღე შეარჩიეს. შეხსენება არავის დასჭირებია—დილაადრიან სიმინდის ნაკვეთში მოიყარეს თავი, კვლავ დაჟვეს და თოხნა დაიწყეს.

პაატამ თოხის რამდენიმე მოსმით გზა გაიკაფა და ჩამორჩენილ მეგობარს მოხედა: ნოდარ რამაზაშვილი თოხს უხერხულად იჭნევდა და ნათესს აფუჭებდა.

— ერიპა! თუ ასე თოხნე, 25 ცენტნერს კი არა, თვრამეტსაც ვერ მოვიყვანთ. აბა, კარგად დაუკვირდი: თოხს მაღლიდან ნუკი ურტყამ, შირიდან მოუსვი, მიწა ხვავიანად მოხვეტე, გოროხი გადააბრუნე და

დაშალე, სიმინდიც გამოკაფე და ფესვებზე მიწაც მოაყარე. აბა, თავიდან დაიწყე... ჰო, აი, აგრე. მარდად მოუსვი, ნუ გეშინიან...

პირველ თოხს მეორე მოჰყვა. მეორეს—მესამე. სიმინდმა ტანი აიყარა, ტაროები გაიკეთა.

გარაკიანი უმოდგომა

შრომაში შეუმჩნევლად მიიღია ზაფხული.

დადგა შემოდგომა.

სოფელში შრომის ფერხული გაუმართავთ...

ჩხიკვეთელი მოსწავლეები მთელი წლის მუყაითი შრომის შედეგს იმკიან. მოსამკელი კი მართლაც რამდენია!

სალორეში ძლივს ეტევა რ გასუქებული ღორი, საქათმეში 150-ამდე ფრთა ქათამი. მტრედებსა და კურდღლებს ხომ თვლაც არა აქვს. მაგრამ ყველაზე მეტად პიონერებს სიმინდის მოსავალი ახარებთ. მოგვიანებით მოტეხეს ნაყამირალებზე. ადგილზევე დაარჩიეს მკლავისსიმსხო სიმინ-

დის ტაროები და სკოლის შარავანზე ზვინებად დააყენეს. შემდეგ დაფშენეს, გაახმეს და დასადეროდ ვარცხნის წისქვილზე გაგზავნეს. მოსავალი ხომ სანაქებო, სარეკორდო ჰქონდათ: 60 ცენტნერი ნახევარ ჰექტარზე!

მაღე ჩხიკვეთელი პიონერები სოფლის საკოლმეურნეო ყანებში გავიდნენ უფროსებს შეაშველეს ხელი. ათიოდე დღეში 26 ჰექტარი სიმინდისა და 8 ჰექტარი კარტოფლის მოსავალი დააბინავეს, 25 ტონა სილოსი დაამზადეს და კვლავ სასკოლო ნაკვეთს დაუბრუნდნენ.

ახალმა წელმა ახალი სიხარული მოუტანა ჩხიკვეთელებს: პიონერებს პირად საკუთრებაში გადაეცათ 3 ჰექტარი უკვე დამუშავებული ნაკვეთი. ამით გახალისებულმა მეგობ-



პაატა ტყეშელაშვილმა კურდღლები შეიყვარა; ალექსანდრე გეგულოამ დიდი ღორი მიიზარა მოხაველდა; მზიური ბაიდაშვილი კი ქათმების მოვლით არის გატაცებული.



კიდევ რამდენიმე წუთი და სახიმინდე ნაკვეთი მზად იქნება, ნაყამირაღს სახე შეეცვლება.

გაზაფხულზე ჩხიკვეთელი პიონერები საცდელ ნაკვეთში გავიდნენ, გახსლეს ხებილი და ყოველ მათგანს ძირი შემოუბარეს.



რებმა სახელმწიფოს 600 კილოგრამი ღორის ხორცი და ათეულობით ფრთა ქათამი ჩააბარეს. 1960 წლისათვის, სანაშენოდ ერთი დედღორი დაიტოვეს. მისი მოვლა მეოთხეკლასელმა აღექსანდრე გეგელიამ იკისრა.

გავიდა დღეები. საქათმეში იმატა საზრუნავმა. აფუსფუსდნენ გოგონები. იმ დღის ბოლოს ელისო ბაიდარაშვილმა საბუღრებს ჩამოუარა, ჯერ ისევ თბილი კვერცხები შეაგროვა და შემცვლელებს გადაუთვალა.

ზამთრისათვის უჩვეულოდ თბილი საღამო იდგა. სასოფლო კლუბში მოწინავე კოლმეურნეთა გაერთიანებული თათბირი მიმდინარეობდა. აქ იყვნენ მთელს რაიონში ცნობილი მეცხოველეები, მეფრინველეები, მემინდვრეები და... ჩვენთვის ცნობილი პიონერები. ისინი ცალკე კუთხეში მიმსხდარიყვნენ და გულდასმით უსმენდნენ უფროსებს, რომლებიც მრავალ ვალდებულებებს კისრულობდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. თათბირი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ცილა დავითაშვილმა კირიაკ ტერსენოვას ნიდაყვი წაჰკრა და რაღაც წასჩურჩულა. კირიაკმა ჯერ ნებართვა ითხოვა, შემდეგ ფეხზე წამოიღდა.

ჩვენც გვსურს ვალდებულების აღება, — დაიწყო კირიაკმა ნელა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა მას. აღმოჩნდა, რომ პიონერები ვალდებულებას კისრულობენ თითოეულ ჰექტარ ნათესიდან საშუალოდ 40 ცენტნერი სიმინდი და ბალბოსტნის უხვი მოსავალი მიიღონ; გამოზარდონ 200 ფრთა ქათამი. ნორჩი მეცხოველეები 2 დედღორს მოუვლიან და თითოეულს წელიწადში 20-20 გოქს გამოზარდვენ. ამრიგად, წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდნიან 2.000 კილოგრამ ღორის ხორცს. პიონერები პირობას დებენ, რომ შრომასთან ერთად სწავლაშიც სანიმუშონი იქნებიან.

სხვა დროს შეიძლება მხოლოდ ბაქიობად ჩაეთვალოთ მოსწავლეთა ეს განცხადება, მაგრამ კოლმეურნეებს არ გაკვირვებიათ მათი გაბედული გამოწვევა — ჩხიკვეთელი პიონერების სახელი ხომ მთელს რაიონშია განთქმული!

დადგა გაზაფხულის თბილი დღეები. მეგობრები სკოლის საცდელ ნაკვეთში გავიდნენ. პირწმინდად გაასუფთავეს ეზო და ხებილს მიწა შემოუბარეს.

ტყისპირა, წითლად ამოიშალა „გუგულის კაბა“, — გუგულის მოსვლისა და ხენა-თესვის დაწყების მაცნე.

წითელყელსახვევიანები ემზადებიან მინდორში გასასვლელად.

ა. ხომერიკი

ბუნაჩენი

კაკლ ჟაჟენი

ნახ. კ. მახარაძისა

მოთხრობა

შინისაკენ მიიქაროდა იუბი, დიუსბურგ-ჰამბურგელი ახალგაზრდა მეშახტე. პიჯაკის საარჩულში ფრთხილად დაემალა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრობის სიმბოლო,—წითელი ლენტი.

ისინი გაანადგურეს. ვერაგულად გასცეს და გაანადგურეს! დამარცხდნენ? არა! არ დამარცხებულან. ახლა მეორედ იცავდა მუშათა კლასი რესპუბლიკას: საყოველთაო გაფიცვა იყო გამოცხადებული.

იუბი თვალებით უპასუხებდა ფანჯრებიდან გამოშინიანი ქალებისა და კაცების უტყვე სალამს. სალამოს ყველა მუშას ეცოდინება, რომ იუბი აქ არის!

ოთახში თავისი პატარა მეგობარი დახვდა, 14 წლის ჰანსი.

— იუბ!—გამოეჩანა მისკენ ბიჭი. იუბმა უსიტყვოდ ჩაიკრა გულში პატარა.

— მე შენი წიგნები დავმალე, კარლისა და როზას სურათებიც. ტყვიები უჯრაში აწყვია, წერილებიც აქვია.—უჩვენა მან პატარა შეკვრაზე.

იუბი ჩქარობდა, ცალი ხელით წვერს იპარსავდა, ცალით კი ბარათებს წვავდა. იქვე, მაგიდაზე, პატარა დანა იყო, რომელზედაც ორი ჩაქუჩი და ლოზუნგი—„ბედნიერ დროს“—იყო ამოკვეთილი.

— აილე დანა, შენთვის მიჩუქენია,—უთხრა მან ჰანსს.

— გმადლობთ, იუბ!— ბიჭმა დანა მაშინვე ჯიბისაკენ გააქანა.

— ყველაფერი დამთავრდა, იუბ?

— ყველაფერი, ჰანს, მაშინ დამთავრდება, როდესაც გავიმარჯვებთ. შენ ახლა ვილისთან გაიქეცი. თუ სახლში არ დაგხვდეს, მის ცოლს დაუბარე, რომ ამ სალამოს ჰაინრიხთან ველოდები.

ბიჭი კარებისკენ გაიქცა: ყველაფერს გააკეთებს იგი იუბისათვის, მისი საყვარელი მეგობრისათვის, რომელიც ესოდენ მამაცი, ჭკვიანი და კარგია. იგი ხომ სულ იმის ოცნებაში იყო, იუბის მსგავსი მეშახტე გამოსულიყო: კომუნისტი.



— კალათა წაილე თან!—მიადხა იუბმა.

— კარგი.

ჰანსს ასი ნაბიჯიც არ გაეწლო, რომ ჯგუფშიან მანქანებს შეეჩხა, ნოსკე-რაზმელებისას. ბიჭმა პატრულებს ჩაურბინა და დანახა... ვილი. იგი აქეთ მოდიოდა, პირდაპირ პატრულებისაკენ. „საჭიროა გავაფრთხილო“,—ფიქრობდა ჰანსი და სწრაფად სჭრიდა ქუჩას. ვერ მოასწრო. პატრულებმა მუშა დააკავეს და მცირე წინააღმდეგობის შემდეგ თან წაიყვანეს. ჰანსმა უძლური ბრაზით წაატანა ხელი თავის დანას და უკან გაჰყვა. ჯარისკაცებმა ვილი რეინარტის სასტუმროში მიიყვანეს. კონდახისა და ფეხების ცემით შეაგდეს საციკეგო დარბაზში და იქ მყოფი მუშების დაპატიმრებას შეუდგნენ.

ქუჩის კუთხეში ჰანსს თავისი ბიძა გიორგი შემოხვდა, ყავარჯნებზე დაყრდნობილი და აქოშინებული. მან ოცი წლის წინათ შახტში დაჰკარგა ფეხი. ძია გიორგი ავგუსტ ბებელის მეგობარი და თანატოლი იყო.

— იუბი შინ არის?—ჰკითხა მან ჰანსს.

— დიახ.

— ახლავე უნდა დაიმალოს. ისინი ყველას ხოცავენ. სახლებში, ქუჩებში, სასტუმროებში, ქარხნებში, სამჭედლოებში და პარლამენტშიც კი სისხლის ტბა დააყენეს გუშინ მაგ ჯალათებმა.

ჰანსმა უამბო როგორ დაიჭირეს ვილი. შიშისაგან ლაპარაკის უნარი წართმეოდა პატარას.

— მე წავალ, ვითომ რაიმეს ყიდვა მინდა. შენ კი გაიქეცი, იუბი გააფრთხილე.

ჰანსი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა შინისაკენ. გზაში სკოლის ამხანაგი ერნსტი შემოხვდა.

*) გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკმაოდ ცნობილია კარლ ფეკენის სახელი, იგი მრავალი საინტერესო წიგნის ავტორია. მოთხრობა, რომელსაც ჩვენ ვებუძღვით, ეხება 1920 წელს მუშათა შეიარაღებულ გამოსვლებს გერმანიაში, რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი.

შინისაკენ მიიქაროდა იუბი, დიუსბურგ-ჰამბურგელი ახალგაზრდა მეშახტე.



ბიჭები ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდნენ მოლაპლაპე მანქანებს. მათ ათი ქვემეხი და თორმეტი ჯავშნოსანი დათვალეს.

— წამოხვალ ჩემთან ერთად? — ჰკითხა მან ჰანსს. — საბჭოს შენობის კოშკიდან ზარბაზნით დაცხრილეს ყოველი კუთხე.

— არა მცალია.
— მოედანზე ქვემეხები და ჯავშნოსანი მანქანები ნახე?

— არა. რამდენია?

— არ დამითვლია, მაგრამ ბევრია, ძალზე ბევრი...

— გინდა წავიდეთ?

ჰანსი ყოყმანობდა. მარტო იუპის გაფრთხილება ხომ არ არის საქმე? მას შეუძლია აგრეთვე ქვემეხებისა და ჯავშნოსანი მანქანების დათვლა, მით უმეტეს, რომ იუპს უთუოდ აინტერესებს მათი რაოდენობა.

— მაშინ, სწრაფად! — თქვა მან და გაიქცნენ. ბიჭები ცნობისმოყვარეობით ათვალთვლებდნენ მოლაპლაპე მანქანებს. მათ ათი ქვემეხი და თორმეტი ჯავშნოსანი დათვალეს. ჰანსი ღელავდა.

„საჭიროა წავიდე, იუპს საფრთხე მოეღოს“, — გაიფიქრა მან და გაიქცა.

სახლის წინ, ხელში შაშხანამომარჯვებული ჯარისკაცები იდგნენ. ჰანსს შიშისაგან კალათა გაუვარდა. იუპი უკვე გამოჰყავდათ. თავაწეული ამაყად მოაბიჯებდა იგი მცველებს შორის.

„დამნაშავე ვარ, უნდა გამეფრთხილებინა!“ — კიცხავდა ჰანსი თავის თავს და იუპს შორიახლოს მიჰყვებოდა. ჯარისკაცებს საცეკვაო დარბაზისაკენ არ წაუყვანიათ პატიმარი. მეშახტეთა ბარაკში წითელი გვარდიის ბიურო იყო მოწყობილი, სწორედ იქით გაემართნენ ისინი.

ბიჭი შორიდან უთვალთვლებდა საგუშავოს. ფრთხილად, დაკვირვებით მიიპარებოდა ახლადამწვანებულ ბუჩქებს შორის შენობისაკენ. იმ ბიუროში, რომელშიაც იუპი მუშაობდა, ჯარისკაცებს შორის დაინახა ჰანსმა თავისი მეგობარი. მან ფანჯრიდან შემჩნია, რომ იუპი თოკით მიეკრათ სკამზე. ჰანსს თავისი გულის ცემა ესმოდა, ყურს უგდებდა ყოველ მოძრაობასა და გახმაურებას. ოთახი ცარიელი ჩანდა. კუთხეში იარაღი ეწყო, ფანჯრის რაფაზე კი ხელყუმბარები — ჰანსთან ახლოს, მთლად ახლოს, სარკმლის მინა რომ არ ყოფილიყო წინ აღმბრთული.

ჰანსმა ხელი ჩაიყო ჯიბეში და დანა ჩაბლუჯა, იუპის ნაიუქარი დანა. რაღაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გადაარჩინოს იგი. ნეტავი რას უზამენ იუპს?

„თოკის გადაჭრა რომ შეიძლებოდა...“ — გაუელვა უცებ თავში.

იუპი მაგრად დაეკრათ სკამზე. სახე ფანჯრისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. მამაცი და ამაყი, ღრმა სიძულვილით აღევნებდა თვალს ჯარისკაცებს, რომელთა გესლიანი სიცილი გულ-ღვიძლს უწყვავდა. ჰანსმა ფანჯარაში შეიხედა და დაძაბული შეაჩერდა იუპის სახეს.

იუპს თვალები გაფართოებოდა. უცნაური ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე. არასოდეს ენახა ჰანსს თავისი მეგობარი ასეთი. თავი ისე მალდა აეწია, რომ თოკები დაჭიმულიყო და მაკრად შემოსალტოდა სხეულზე.

„რაშია საქმე? შემამჩნია?“ ფიქრობდა ჰანსი. — რა მოუვიდა მის თვალებს? მან ნელა გააყოლა თვალი იუპის თვალების მიმართულებას. იქ, შახტის მადნისამწვევი კოშკის თავზე, ისევ ფრიალებდა წითელი დროშა.

ჯარისკაცებმა სწრაფად დატოვეს ოთახი.

კარები ღია იყო. ბიჭი ფანჯრის რაფაზე ავიდა, დანა კბილებით დაიკავა. თვალის დახამხამებაში თავით შეამტვრია ფანჯრის მინა და, იუპმა დაინახა იგი. სახე შეეცვალა, ბაგეზე ღიმილი დააკვდა და მკაცრად დაუყვირა:

— ახლავე უკან გაბრუნდი, ბიჭო! — მის ხმაში და თვალეში საშინელი დაძაბულობა იგრძნობოდა. ჰანსი ხმაურით გადმოახტა ფანჯრის რაფას და მხოლოდ მაშინ დაინახა და მიხვდა ყველაფერს: იუპისათვის ზურგზე თოკით ხელყუმბარები გადაექირათ.

ჰანსმა ძლივს მოასწრო ფანჯრის ქვეშ მიწაზე გაწოლა, რომ ოთახში აფეთქების ხმა გაისმა. მინის ნამსხვრევები ცვივოდა მის ახლომახლო, ბიჭი სასოწარკვეთილებიდან გაშეშდა და აკანკალებული იმ ადგილს მიმტერებოდა. სადაც რამდენიმე წუთის წინ იუპი იჯდა. მინებჩამტვრეული ფანჯრებიდან ჯალათების ხმა მოისმა ისევ. ისინი ღრიალით, ყვირილითა და სიცილით ბრუნდებოდნენ უკან. ჰანსს ისევ დაუბრუნდა აზროვნება, ადგა და ჩუმად გადაძვრა ჩამტვრეულ სარკმელში.

წყნარად, ფრთხილად ჩამოეკიდა ფანჯრის რაფას. თითებით იპოვა ხელყუმბარები და ხელში დაიკავა. „ოცდაერთი, ოცდაორი, ოცდასამი.“ ითვლიდა იგი. შეჩერდა. შემდეგ ისევ განაგრძო: „ოცდაოთხი, ოცდახუთი, ოცდაექვსი“ — და გადაისროლა სწრაფად. სხარტად, ოთახში ერთი წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გაისმა ყვირილი. შემდეგ კი აფეთქების ხმამ შთანთქა ყველაფერი.



ჰანსს შიშისაგან კალათა გაუფარდა. იუპი გამოჰყავდათ.

ჰანსმა დანა აიღო და დაკეცა. კოტა ხანს მიწა ისევ ირწვოდა მის ფეხქვეშ. ნელა დაინახა, აიღო კალათა და ბუჩქების მოფარებით გავიდა. ქუჩაში ისე გაიარა, რომ არავის შეუმჩნევია.

მიდიოდა და ლაპალუპით სდიოდა ცრემლები. იგივე გრძნობდა, რომ ტიროდა.

თარგმანი ი. ლეუვაძემ

პიონერული მოღვაწეობა

...რომ ტელმანის სახელობის გერმანიის პიონერული ორგანიზაცია 400 ათას ბავშვს აერთიანებს. ისინი სცემენ ფაუნს — „ღერ იუნგე პიონირ“ („ნორჩი პიონერი“).


გერმანელი პიონერები ცისფერ ყელსახვევებს ატარებენ. მათი ორგანიზაცია ორ საფეხურად იყოფა, პირველი — „ნორჩი პიონერი“ — აერთიანებს ბავშვებს 8—9 წლამდე, მეორე — „ტელმანელები“ — 10-14 წლამდე.

...რომ პოლონეთში სახავშვო ორგანიზაციას „ხარცერი“ ჰქვია. ბავშვებს მასში 8-დან 18 წლამდე იღებენ. ვაჟები ატარებენ ხაკისფერ ბლუზა-შარვალს, გოგონები, — ნაცრისფერ კაბებსა და ბერეტებს. პოლონელი პიონერები სხვადასხვა ფერის ყელსახვევებს ატარებენ. მათ რაზმებში 8—10 ბავშვი შედის.

...რომ ალბანეთის პიონერულ ორგანიზაციაში 150 ათასი 9—14 წლის პიონერია, მთავრობამ მათ შესანიშნავი დარბაზები აჩუქა.

დღისა და შვილებისაღმად

ალექსანდრა ვალაივის ნაწილობრივად



ვის არ წაუკითხავს შესანიშნავი რომანი „ახალგაზრდა გვარდია“, ვინ არ აღტაცებულა ამ წიგნით, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდობის გმირული სულითაა შთაგონებული... მისი ავტორი, ალექსანდრე ფადეევი, ერთ-ერთი დიდი საბჭოთა მწერალი, მეტად თავმდაბალი, გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანი იყო. მას უყვარდა ბავშვები, ცდილობდა თავიდანვე ცხოვრების სწორი გზი მიეცა მათთვის. საკმარისია წაიკითხოთ მისი ახლობლებისადმი მინაწერი ბარათები, რომ ამაში მტკიცედ დარწმუნდეთ. ეს ბარათები ამას წინათ გამოქვეყნდა ჟურნალ „სმენას“ ფურცლებზე, ხოლო „პიონერის“ რედაქციამ საჭიროდ სცნო მათი გაცნობა თქვენთვის. აი, ზოგიერთი მათგანიც.

22/XII—48 წ.

ჩაბო დედოქო!

ხვალ ვერ მოვახერხებ შენთან შემოსვლას — ჩვენი მრავალფეროვანი, ნორჩი თაობის წარმომადგენელი გინახულვებნ მხოლოდ! ხუთ საათზე წითელი პრესნას რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე უნდა ვიყო (გახსნა 23 რიცხვისათვის გადაიტანეს), ხოლო 7 საათზე საბჭოების სახლის სვეტიხან დარბაზში ადამ-მიცკევიჩის ხსოვნის საღამოა და იქ შესავალი სიტყვით გამოვალ.

კვირას უთუოდ გნახავ. ნუ მოიწყენ, ჩემო ძვირფასო მოხუცო, მოკეთებული დამხვდი, გკოცნი მაგრად, მაგრად.

ს ა შ ა

27/XI—52 წ.

ძვირფასო დედოქო!

მადლობელი ვარ, რომ ასეთი ალერსიანი, მხნე წერილი გამომიგზავნე, აღსავსე სიყვარულითა და ზრუნვით. თუმცა ტანია¹⁾, შენი არ იყოს, იძახის, წერილი მალე დასწერაო, მაინც მგონია, რომ ბევრი ფიქრი დაგჭირდებოდა და არც ეგრე იოლი იქნებოდა შენთვის როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად მისი დაწერა. მაგრამ მე კი ჭეშმარიტი სიხარული მომანიჭა და დიდი სიყვარული და მადლიერება მაგრძნობინა შენდამი. მე და ტანია აქ ხშირად ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე შენზე, გვაწუხებს შენი ამბავი, მუდამ გვიყვარს და ვამაყობთ ჩვენი დედით...

ს ა შ ა

14/XII—52 წ.

ძვირფასო შუკა!

აი, უკვე 16 წლისა ხარ. მომილოცნია. ახლა დიახაც ვაჟკაცი ხარ და შეიძლება ითქვას, შენი შემდგომი ცხოვ-

რება უფრო მეტად შენზეა დამოკიდებული, ვიდრე სხვაზე.

საჩუქრად ვერაფერს გიგზავნი, როგორც ყოველთვის, დედა მოგინახულებთ და შენ და მიშენკას ხილს ჩამოგიტანთ...

რაც შეეხება სწავლას, გირჩევ ყოველდღიურად თუნდაც პატარა ამოცანა დაისახო და ფიცხლად, ზუსტად შეასრულო. თუმცა ასეთი ჭკუის დარიგება დაბადების დღეს როდი შეგფერის. ნახვამდის, — სამწუხაროდ, მგონი, ვერც ისე მალე ვნახავთ ერთმანეთს. გკოცნი მაგრად. გისურვებ იყო ჭკვიანი, ძლიერი, მართალი გულის, მამაცი, კეთილი ადამიანი, კარგი ამხანავი, არ გაწყენს ამასთან მცოდნე კაციც დადგე.

აკოცე მიშენკას.

მ ა მ ა.

19/VII—53 წ.

ჩემო ძვირფასო, დიდო შურა, ჩემო კარგო ვაჟკაცი!

მადლობელი ვარ წერილისათვის, თორემ უკვე გაგლანძღე კიდევ ისე, რომ დეგეშაში თავის მართლება მომიხდა. ვინ იცის, გაგანაწყენა ჩემმა წერილმა—გაზეთის ამონაჭერიც რომ გამოვაყოლე? გაგანაწყენა იმიტომ, რომ გულმოდგინედ მეცადინეობ, და ამ დროს კი... აბა ნახე! მაგრამ ნუ მიწყენ, ადამიანი იცვლება ასაკის მიხედვით, შენს წლებში ფიზიკური და მორალური ცვლილება ხანდახან რამდენიმე თვეში ხდება. მე მგონი, რომ მართლაც ძალიან შეიცვალე უკეთესობისაკენ. ეს გეტყობა სწავლაში, ამხანაგებისა და საერთოდ ადამიანების მიმართ. ან იქნება ჩემი დასკვნა ნაადრევია? საბჭოთა წყობამ მწერლებს და საერთოდ ხელოვნების ხალხს მატერიალური უპირატესობა შეუქმნა ცხოვრებაში, ამის

¹⁾ ტატანა ალექსანდრეს ასული ფადეევა—მწერლის და.



წყალობით შენ და მიშას ბავშვობაში არაფერი გაკლდათ და არც გაკლიათ: უშრომლად გერგოთ ყოველივე «სიკეთე»—ჩასაცმელი, დასახური, ველოსიპედი, თოფი, ნამცხვარი. ეს კი უნებურად და თან არაკანონზომიერად ჰქმნის ეგრეთ წოდებულ პრივილეგიურ ცხოვრებას. ხოლო თუ აღამიანი—დიდი ან პატარა—უზრუნველად გაჰყვება ასეთ პრივილეგიურ ცხოვრების გზას, მალე ავიწყდება, რომ ეს ხალხის მონაგარია, რომ თვითონაც ხალხის შვილია და ხალხის მსახური. მე კი ძალიან მინდა, უფრო მეტად გაერიო «ჩვეულებრივ» ადამიანთა საზოგადოებაში—ხომ გყავს კლასში ამხანაგები სწორედ იმ წრიდან, იტრიალო კოლიასა¹⁾ და მისი მეგობრების წრეშიც. რა ხანია უნდა გამგზავრებულიყავი კიდეც არდადეგებზე, დასასვენებელი სახლის ნაცვლად (თუმცა, ეს ახლა შენი ავადმყოფობითაა გამართლებული), დიდ ტურისტულ ლაშქრობაში კარგ მეგობრებთან ერთად, საკოლმეურნეო რაიონებში, კალინინის ოლქში და, როგორც კოლია და მისი ამხანაგები მოიქცნენ, მიზნად დაგესახათ კულტურის პროპაგანდა მოსახლეობაში. უნდა იარო ექსკურსიებზე ქარხნებში—მოსკოვსა თუ შორეულ რაიონებში. საერთოდ, უფრო მეტად უნდა ეზიარო და ჩასწვდე საბჭოთა ცხოვრების ძირსა და ფესვს, მის ფუძეთა ფუძეს—მილიონობით მუშათა, გლეხთა, ინტელიგენტთა ცხოვრებას, შეიგნო, იცოდე მათი შრომა და იგრძნო თავი ამ წრის განუყოფელ ნაწილად.

ჩვენ—მე და დედაშენმა—დიდად დავაშავეთ, რომ არ მიგაჩვიეთ და ახლა მიშასაც არ ვაჩვევთ ფიზიკურ შრომას. პატარა რომ ვიყავი, დედაჩემმა, ამყამად ესოდენ უმწყო, უძლურმა ბებიამ ნინამ, მე, ჩემი და ტანია და ძმა ვალოდია შინაურ თუ სასოფლო საქმიანობას მიგვაჩვია: ფოლაქს ჩვენი ხელით ვაკერებდით, გახეულ ტანსაცმელს თვითონ ვკემსავდით ან საკერებელს ვადებდით, ჭურჭელსა და იატაკს ვრეცხავდით, ლოგინს ვიშლიდით, ამასთან ვთიბავდით, ვმკიდით, ძნებს ვკრავდით ყანაში, ბოსტანს ვმარგლიდით და ვუვლიდით. სადღურგლო იარაღებიც მქონდა და მე, განსაკუთრებით კი ჩემი ძმა ვალოდია, ნიადაგ რალაცას ვჩიხრკედელობდით. შეშის მხერხავები, დამპობნი, თუ ღუმელის ამნთებნი მუდამ ჩვენ ვიყავით. პატარაობიდანვე ვისწავლე ცხენის შებმა, შეკაზმვა, ცხენზე ჯდომა. ყოველივე ეს არა მარტო ფიზიკურად წვრთნის ადამიანს, დისციპლინასაც აჩვენებს. და განა უბრალოდ აჩვენებს—მე, ტანიას და ვალოდიას ყველაფერი, სულ უბრალო შრომაც კი მეტად გამოგვადგა დიდობისას—ომში, ოჯახში, ადამიანთა ურთიერთობაში, სამუშაოზე, სოფლად თუ მუშათა წრეში რომ მოგვიხდა მუშაობა და მაგალითის მიცემა. როცა ბებიამ ნინა ასე მოხუცი არ იყო, თავისი სამუშაოს წყალობით, როდი ეცალა ჩვენს სალოლიაოდ, მან მხოლოდ ბიძგი მოგვცა. ჩვენ თვითონაც ვვიყვარადა ყოველივე ეს. ჩვენ ასეთი ბიძგი შენ და მიშას ვერ მოგვცით. მაგრამ რარიგ ბედნიერი ვიქნები, თუ შენც შევიყვარებ ფიზიკურ შრომას და ცოტათი მაინც აღზრდი თავს მისი შემწეობით! დარწმუნებული ვარ, რომ ვერც დიღს დაიკერებ, ვერც გახეულ ხალათს დაიკემსავ, ალბათ, ნემსსაც ვერ დაიჭერ

ხელში. ვეჭვობ, შოშიების სახლის გაკეთება შეიძლება მაგალითად, ვაშლის ხეს უვარგისი ტოტები ააჭრა (რადგან ვერ გაარჩევ, ვარგა თუ არ ვარგა). ისიც არ მჯერა—შეგიძლია კი დაშალო ველოსიპედი უკანასკნელ ხრახნამდე და ისევ ააწყო, თუ ანდრეი ფედოსეს ძე²⁾ გიკეთებს ამას? მაგრამ, როცა თოფს შლი, წმენდ და ისევ ააწყო, როცა შენს მტრედებს თავს ევლები, როცა ტყვიას შიგ მიზანში არტყამ, ვხედავ, რა მარჯვე ბიჭი ხარ და გული მწყდება, ეგ შენი სიმარჯვე და მოხერხება უბრალოდ რომ იხარჯება.

ჩვენ შესანიშნავი, მდიდარი ბიბლიოთეკა გვაქვს.—საუკეთესო წიგნები, ჟურნალები თუ გაზეთები შენს განკარგულებაში გახლავს. რახანია უნდა გაცნობოდი უმშვენიერეს რუს და მსოფლიო კლასიკოსებს, წაგვიკითხა მეცნიერული და პოლიტიკური წიგნები და ჟურნალები. მერე რამდენი მუზეუმებია და სურათების გალერეები მოსკოვში. თუ იყავი, მაგალითად, ტრეტიაკოვსკაში, რევოლუციის მუზეუმში, ლენინის მუზეუმში, თუ ნახე ზოოლოგიური მუზეუმი, პოლიტექნიკური მუზეუმი ან სხვები?

ამ «პედაგოგიკურ—ჭკუის დამრიგებლურ» წერილებს განა იმიტომ გწერ, რომ მოწყენა მოგვარო და თავი გაგაბეზრო. დაისვენე, რამდენიც გენებოს! ძალა მოიმატე! დრო მხიარულად გაატარე! ოღონდ... ხანდახან ამაზეც იფიქრე საღამოობით, საბანში რომ გაეხვევი. და განა ერთხელ, ორჯერ თუ სამჯერ—იფიქრე, როგორც რიგი და წესია! განახორციელე ცხოვრებაშიც. თორემ, ვაითუ ნათელი დაჰკარგოს შენმა ცხოვრებამ, როცა შენც მუშაობას შეუდგები.

სულით და გულით გკოცნი მაგრად. ჩემი მეგობრული სალუტი გადაეცი კოლიას, ვალოდიას და ყველა თქვენს მეგობარს.

მამა

14/VIII—53 წ.

პირივასო მიშენა!

ნუთუ უკვე ცხრა წლისა ხარ?

განა ამდენი ხანი გავიდა, დედას რომ გამოვართვი ხელიდან სულ პაწაწინა შენი თავი და პირველად გაიყვანე ქუჩაში! დღის სინათლემ თვალი მოგჭრა, მოჭუტე თვალები და თავი გვერდზე მიიბრუნე.

მომილოცნია სულით და გულით, რადგან ამ წელს კარგად სწავლობდი. ბიჭუნებსა და გოგონებს ძალიან ხშირად მარტო იმას ულოცავენ, რომ კიდეც ერთი წელი შეემატათ. მაგრამ თვითონ რა წვლილი მიუძღვით ამაში? წლები ხომ მტრედებს, ძროხას, ნიღვას, რაღვს, გუბურაში თევზებსაც კი ემატებათ, თუმცა მათ არავინ ულოცავს!

ჰოდა, მეც გილოცავ იმიტომ კი არა, რომ ცხრა წლისა გახდი, გილოცავ იმიტომ, რომ წელსაც შარშანდელივით კარგად სწავლობდი. გისურვებ გოლიათურ ჯანს! მწადია, განათლებული, მამაცი და გულმართალი კაცი დადგე, მწადია, რომ ანცი და ცელქი ბიჭი არ იყო! უფრო სწორად, სულ ცოტა იანცი და იცელქო—ჰო, ოღონდ იმაზე მეტად არა—ცხრა წლის ბიჭს რომ შეპყრის და ეკადრება!

გკოცნი მაგრად, ჩემო კარგო საყვარელო ბიჭო!

მამა

¹⁾ ნიკოლოზ გიორგის ძე ზარახანა—მწერლის დისწული.
²⁾ ანდრეი ფედოსეს ძე ფრილოვი—ა. ფადეევის შოფერი.



ვილაცამ პიონერული სალაშქრო სიმღერა წამოიწყო და დანარჩენებშიც ხმაზე წყობილად აჰყვენენ. თოვლის საბანში გახვეული შემოგარენი მანქანის გუგუნმა და პიონერულმა სიმღერამ აახშიანა. მანქანა ხმაურით მიიწვედა სულ ზევით და ზევით. ერთბაშად ჩამობნელდა, ავტობუსმა სიჩქარეს უკლო, სიმღერა შეწყდა. შეშოთებული პიონერები ფანჯრებს მიაწყდნენ, მაგრამ სულ მალე მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და ახლა ერთმანეთს დაუწყეს დაცინვა:— ბიჭო, რამ შეგაშინა, ნისლი არ გინახავს?

პირველმა შიშნარევა გოცებამ მალე გაიარა. ავტობუსი თანდათან უახლოვდებოდა კოჯორს.

მაგრამ ვინ არიან ისინი?

სექტემბერში, როცა საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებული პიონერები სწავლას შეუდგნენ, თბილისის 25-ე სკოლის პიონერული ორგანიზაციისა და მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებით დაწესდა კლასების მორიგეობა. მორიგე კლასს ევალებოდა სისუფთავისა და წმინდობის დაცვა დერეფნებში, საკლასო ოთახებში, საერთოდ სკოლაში. მორიგეობის დამთავრების შემდეგ კლასი წერილობითი პატაკით წარსდგებოდა სასწავლო ნაწილის გამგის წინაშე,



ნეს ხმარობდნენ თავიანთი უბნებში სანიმუშო წესრიგის დაცვას. ყოველი კვირის ხუთშაბათი კარგად დაიმახსოვრეს 25-ე სკოლელებმა, განსაკუთრებით კი იმ ონავერებმა და თავნება ბიჭუნებმა, რომელთა შიშით გოგონები დერეფანში ვერ გამოდიოდნენ...

მეორე მეოთხედის ბოლოს, როცა შედეგები შეაჯამეს, გამარჯვება მეშვიდე პირველ კლასელებს ხვდათ წილად. გამარჯვებულებს კი არდადეგების დღეები კოჯორში უნდა გაეტარებინათ.

მშობელთა კომიტეტმა ბინითა და საწოლებით უზრუნველყო მოსწავლეები, შეფებმა ავტობუსი შესთავაზეს. და აი, პიონერულმა საყვირმა კოჯორი აახშიანა...

ნამგზავრ ბავშვებს კოჯორის სუფთა ჰაერმა მაღა გაუთკეცა. საჭირო იყო სახელდახელოდ საუზმის მომზადება. ყველა აფუსფუსდა, ვალერი კოლესნიკოვი, იგორ ჟორდანია და ლენინი პარასტაევი წყლის მოსატანად გაიქცნენ. ნატა ბიჩენკომ ნავთქურა გამართა და ის იყო ზედ წყლით სავსე ჩაიდანის შემოდგმას აპირებდა, რომ მოულოდნელად ნავთქურა საშინლად აბოლდა. ნატამ პატრუქს დაუწია, არაფერი შეცვლილა. იქვე იური ვალუსტიანი ფუსფუსებდა. მან

გამარჯვება ბჭილდო

პიონერებით სავსე ავტობუსმა ქალაქის უკანასკნელი ქუჩა გაიარა, ხელმარცხნივ მოუხვია და კოჯორის აღმართს ხმაურით აჰყვა. სახეგაბრწყინებული გოგონებისა და ბიჭუნების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა თოვლს მონატრებულებმა გზის ორივე მხარეს თეთრად გადაპენტილი მთა-გორები დაინახეს.

— ოო, რამდენს ვიგუნდავებთ!— ალტაცებით წამოიძახა გენადი ტოტიკოვა.

ეს უკანასკნელი კი შეაფასებდა რამათ მორიგეობას, ნიშანს, უწერდა ზამთრის არდადეგებისათვის კი შეჯამდებოდა ეს ნიშნები და გამარჯვებული კლასი ჯილდოდებოდა შორეულ ექსკურსიაზე წაყვანით.

და აი, გაჩაღდა შეჯიბრი დისციპლინაში, სისუფთავეში. თავიდანვე მეშვიდე პირველი კლასელები დაწინაურდნენ. კლასის დამრიგებელმა მოსწავლეებს ცალ-ცალკე უბნები გამოუყო და პიონერებიც ყოველ ლო-

გოგონას გასაჭირი რომ შენიშნა, ახლო მივიდა. — აბა, გვერდზე მიდექ, ახლა შენ მანდ ვერაფერს გააწყობო, და ნავთქურასთან ჩაიმუხლა; ცოტაც და, ნავთქურა წესრიგში მოიყვანა. ამასობაში წყლის მზიდავებიც მოვიდნენ. პიონერებმა ხელ-პირი დაიბანეს, ზურგ-ჩანთები გახსნეს და სახლიდან წამოღებული ჯამ-ჭურჭელი ამოალაგეს. ნატა ბიჩენკომ და ლენა გვეორქოვამ გემრიელი წვნიანი კერძი შემოდგეს მაგიდაზე...

ბანაკის გახსნის პირველ დღეს პიონერებმა ლაშქრობა მოაწყვეს უძო-ზე. ვალერი ვარდოსანიძემ სამახსოვ-რო სურათები გადაიღო. საღამოს კი შთაბეჭდილებებით სავსენი ერთმა-ნეთს უზიარებდნენ ნახულსა და გა-ნცდილს.

მეორე დღეს ქოროლლის ციხის ნანგრევებზე მიიტანეს იერიში. თო-ვლში ამოგანგლულები სიცილ-კისკი-სით მიიწევდნენ ზევით. უეცრად, მათ წინ ბებერი ციხის ნანგრევები აღიმართა. ცოტაც და, ძველი ციხე


ერთი შევეულმფრენი რომ ყოფილიყო ჩვენს განკარგუ-ლებაში, ვნახავდით. რას და-გვაკლებდა ეს თოვლი და ნისლი? — ფიქრობდა ვიქ-ტორი და ხმამაღლა თქმას კი მაინც ვერ ბედავდა. იცო-და. რომ მისი სიტყვები ტოლ-ამხანაგებში მხოლოდ სიცილს გამოიწვევდა.

თოვლთან კიდილით დაღ-ლილ პიონერებს მაღა გაეხს-ნათ და ამ იტომ ყველა ჩქა



— ბიჭო, რა მოუხერხებელი ხარ! გითხრეს პური დაქერიო, შენ კი თითებს იჭრი.

იუმპორისტული გაზეთი „ველვა“ ონავ-რების რიხვა იყო.



აღებული იქნებოდა. მაგრამ მათი სი-ხარული ნაადრევი აღმოჩნდა: მოლაშ-ქრეთა წინსვლას საგრძნობლად აფე-რხებდა ღრმა თოვლი, რომელსაც შემდეგ ტყვისფერი ნისლი წამოე-შველა და ქოროლლის ციხის ნან-გრევები ამჯერად გადაურჩა „დალა-შქვრას“.

დაღონებული დაბრუნდნენ უკან პიონერები. სირცხვილით ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. ეს როგორ გვაჯობა თოვლმა და ნისლმაო. ყვე-ლაზე მეტად ვიქტორ დენისენკო ნაღვლობდა. დროდადრო ბრაზმო-რეული თვალით გადახედავდა ხოლ-მე თავის ამხანაგებს. „ჰო. მიწოდეთ რაც გსურთ, თუნდაც ის. რასაც მე-ძახით: „სახელგანთქმული ტექნიკო-სი“. მაგრამ მე მაინც ვიტყვი. ახლა

რობდა ბანაკში დაბრუნებას. არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ მათ იქ სიურ-პრიზი ელოდათ. გემრიელი სადილის შემდეგ. ის იყო ყველა დასასვენებლად აპი-რებდა წასვლას. რომ ოთახ-ში თოვლის პაპა შემოვიდა. მას ცალ ხელში საჩუქრებით სავსე კალათა ეჭირა, მეო-რეში კი დიდი გრაგნილი. მობანაკეთა აღტაცებას სა-ზღვარი არა ჰქონდა. თოვ-ლის პაპამ ლაშქრობიდან დაბრუნებულებს ახალი წე-ლი მიულოცა. ახალ-ახალი წარმატებები უსურვა და შემდეგ ყველას გასაგონად თქვა:

ლაშქრობიდან დაბრუნებული პიონერები გაბურ-ბულ ღუმელთან შეიკრიბნენ და ერთმანეთს შთა-ბეჭდილებები გაუზიარეს.





— ხომ გავიგონიათ, მოყვარეს პირში უძრახე, მტერს—პირს უკანაო.
— როგორ არა!
— ვიცით!
— გავიგონია!
— მაშ კარგ, — განაგრძო თოვლის

პაპამ, საჩუქრებიანი კალათა ხელში მოიმარჯვა და ლენა მელეშკოს მიუახლოვდა, თვალი ეშმაკურად ჩაუკრა, სავარცხელი გაუწოდა და თან დასძინა: — აბა შენ იცი, თმადუფარცხნელი აღარ გვეჩვენო. ოთახში თავშეუქავებელი ხარხარი ატყდა. ლენა ყურებამდე გაწითლდა, მაგრამ უნებლიედ მასაც წასკდა სიცილი, როცა თოვლის პაპა კბილის საწმენდი ჯაგრისით ხელში საშა კრივონოსოვთან მიახლოვებული დაინახა.

საერთო მხიარულებაში თოვლის პაპამ ყველას ჩამოუარა, ყველას მიაერთა საჩუქარი და ზოგიერთებს თან პატარა წვიპურტიც უთავაზა. შემდეგ სიჩუმე მოითხოვა და ყველას გასაგონად თქვა: ჩვენი იუმორისტული გაზეთის — „ელვას“ რედკოლეგიისაგან მიღებულია რამდენიმე საახალწლო დეპეშა, — და ქალაქის გრძელი გრაგნილი გახსნა, — სმენა იყოს და გაგონება. პირველი დეპეშა ლენა გვეგორკოვას ეკუთვნის:

კარგი ხარ, როცა სუფრას შლი ხელმარჯვედ, ლაზათიანად.

მაგრამ სულ „სამიანებთან“ ასე რამ დაგაზიარა?!
ხანდახან „ორიანებსაც“
კარს უღებ თავაზიანად
თუ გვეღირსება ნეტავი —
მოგვწონდე ყველაფრიანად?

მეგობრებმა ლენას გადახედეს, ირგვლივ ჩუმი სიცილი გაისმა. ლენამ სამართლიანი შენიშვნა მიიღო და თავის თანატოლებს პირობა მისცა, ნიშნებს უსათუოდ გამოეფარებო.

მეორე დეპეშა ვიქტორ დენისენკოს სახელზე იყო:
ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე,
მეგობრებო, მას გისურვებთ

მხოლოდ:
საკუთარი კოსმოსური რაკეტით
მთელი კლასი მარსზე გავაქროლო!

ამჯერად ვიქტორი იყო ყურადღების ცენტრში. მეგობრების სიცილკისკისში ისიც წამოდგა და მტკიცედ თქვა, — რაც გინდათ თქვით, მე კი გადაწყვეტილი მაქვს ტექნიკოსი გავხდეთ. გადაწყვეტილება ყველამ მოიწონა და ვიქტორი ტაშით დააჯილდოვეს.

მეორე დღეს დილიდანვე ცუდი ამინდი უწინასწარმეტყველა პატარებს აღმოსავლეთიდან წამოსულმა ტყვიისფერმა ღრუბლებმა. ის იყო პიონერები საუზმეს მორჩინენ, რომ ერთბაშად ჩამოხედდა. ნისლმა და-

ფარა ყველაფერი. ექსკურსი ჩანდა...
ლა. მაგრამ პიონერი აბა...
ნერია, თუ გამოსავალს ვერ იპოვის:
— ბიჭებო, უქმად ხომ არ ვიქნებით? —
წამოძახა იგორ ჟორდანიამ. — მოდით, ჭადრაკის ტურნირი გავმართოთ.

სახელდახელოდ შედგა ცხრილი, დაინიშნა მსაჯი და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეებნენ.

სადილობამაც მოატანა. სადილის შემდეგ რაზმის საბჭოს თავმჯდომარის — ვალერი ჟორდანიას წინადადებით პიონერები კოჯრის სკოლა-ინტერნატს ეწვიენ, სადაც მოეწყო სახელდახელო შეკრება თემაზე „რით არის ჩვენთვის აღსანიშნავი 1959 წელი“.

დამთავრდა შეკრება. კიდევ დამდა და საბანაკო დროც ამოიწურა. პიონერები მეორე დღით გამგზავრების თადარიგს შეუდგნენ. ისინი მოკლევადიან პიონერულ ბანაკს ეთხოვებოდნენ.

დიდი, ძალიან დიდი სიამოვნება არგუნა მეშვიდეკლასელებს გამარჯვებამ და ჯილდომ. ისინი ახლა ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კვლავ გამარჯვებულნი გამოვიდნენ და სასწავლო წლის დასასრულს კვლავ მიიღონ დამსახურებული საჩუქარი.

თ. სახაროვი

ხელმარჯვეთა კოსმოსური

ამაორთქლებელი

ეს ხელსაწყო თავისი კონსტრუქციით მოგვაგონებს ბერკეტის სისწორს (იხ. „პიონერი“ № 1). იგი გვემზარება თვალნათლივ აგხსნათ და შევისწავლოთ აორთქლების რაოდენობა.
ფანერის ყუთში (1), რომლის ზომა 300×400×120 მილიმეტრს არ აღემატება, ქვედა მარჯვენა მხარეს დგას პატარა ბოძი (2), სიმაღლით 120-150 მმ. ბოძზე დამაგრებულ ღერძზე


მოთავსებულია რუსული „1“ მსგავსად მოხრილი ისარი, რომელზედაც წამოვებულია ტყვიის სიმძიმე (3). ეს სიმძიმე თავისუფლად მოძრაობს წინ და უკან. ისრის მოკლე ბოლოზე (4), ზევით, მოთავსებულია ფანერის პორიზონტალური ფირფიტა (5), ზომით 120×40 მმ. ფირფიტა სახსრით მაგრდება ყუთის კედელზე (6). ფირფიტის ზემოთ, ყუთის კედელში გაკეთებულ ნახვრეტში მჭიდროდ იდგება მიმართველი თუნუქის მილი (7), რომლის დიამეტრია 10 მმ. ამ მილში გაყრილია 0,8 მმ ხის ღერი. ღეროს ზედა ბოლოზე დამაგრებულია ფანერის დისკო (8), ხოლო თვით დისკოზე დგას საბურაბე ქილის თუნუქის თავსახური (9). მისი ტევადობა მენზურით უნდა გაირკვეს.

მთელი ეს სისტემა უნდა გაწონასწორდეს ისე, რომ ტყვიის სიმძიმე და წყლით სავსე თავსახურის სიმძიმე ტოლი იყოს. ამის მიღწევა ხდება ისრის გრძელ ბოლოზე მოთავსებული სიმძიმის გადაადგილებით.

ყუთის მარცხენა ზემო ნაწილში მოთავსებულია დანაყოფებიანი შკალა (10), როცა ხელსაწყო გაწონასწორებულია და თუნუქის თავსა-

ხური წყლითაა სავსე, ისარი ყოველთვის ნულს უნდა გვიჩვენებდეს. თუ თავსახური ცარიელია, მაშინ ისარი ციფრ 100-ის წინ უნდა იდგეს. შკალას მონაკვეთი 0-დან 100-მდე იყოფა ათ ტოლ ნაწილად. თითოეული დანაყოფი თავის მხრივ კვლავ იყოფა ხუთ თანაბარ ნაწილად, ეს უკანასკნელი კი — ორ-ორად.

ცნობილია, რომ წყალი აორთქლებისას ეკლებს მოცულობაშიც და წონაშიც. ასევე ცნობილია, რომ აორთქლების რაოდენობა გარკვეული დროის მინიმუმზე სხვადასხვაგვარია, იგი დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ჰაერის ორთქლით გაქვნილობაზე, ქარზე და ასე შემდეგ აქ აღწერილი ხელსაწყო თვალნათლივ უჩვენებს აორთქლების პროცესს. ხელსაწყოს საშუალებით ცდას შემდგენიარად ატარებენ: თუნუქის თავსახურს ავსებენ წყლით, ისარზე მოთავსებული სიმძიმის გადაადგილებით ხელსაწყოს აწონასწორებენ მანამ, ვიდრე ისრის წვერი ნულს გაუსწორდებოდეს. ყოველივე ამის შემდეგ დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში ისარი თავის მდგომარეობას შეიცვლის, რამდენიმე დანაყოფით ქვევით დაიწვეს და ასე იმორჩავენს, სანამ ისარი ციფრ 100-ს გაუსწორდებოდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოხდა ასპროცენტიანი აორთქლება.



საბრტის ისტორია



როდესაც ოქროს მედალზე მწიგნობართა კავშირის ხუმრობდა: „ქარგი ქოჩორი მქონდა, მაგრამ ოქროს მედალი მაინც უკეთესიაო“.

ლონდონში V ოლიმპიურ თამაშებზე, არ გაუმართლა იტალიელ მორბენალს—პიეტროს. იგი პირველი შევიდა სტადიონზე, მაგრამ ზედ ფინიშთან ღონემხიდილი დაეცა. იგი ფეხზე ააყენეს, მაგრამ ორიოდ ნაბიჯის შემდეგ ისევ დაეცა. ტყუილად ცდილობდნენ მეგობრები, მსაჯები მორბენალის გრძნობაზე მოყვანას; ბოლოს მხრებში შეუდგნენ და ფინიშამდე ისე მიიყვანეს. სპორტსმენი დისკვალიფიცირებულ იქნა, მაგრამ ოქროს მედლის მაგივრად მან დედოფლის საჩუქარი—ოქროს სასმისი მიიღო ჯილდოდ.


გაეგლო და ასე, თანამედროვე ტექნიკის საშუალებით, გაესწრო მოწინააღმდეგეთათვის.



XVI ოლიმპიურ თამაშებზე, მელბურნში, ძალოსანთა აწონვის დროს გამოირკვა, რომ ამერიკელ შტანგისტს—ვინჩის წონის დაკლება ვერ მოესწრო და იმ დროს, როდესაც შეჯიბრი ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო, მას ასი გრამი ზედმეტი წონა ჰქონდა. ამერიკის გუნდი (რომელმაც ამ შეჯიბრზე 1/2 ქულით გაუსწრო საბჭოთა ძალოსნებს და პირველი ადგილი დაიკავა) კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. შემოფოთებულმა მწვრთნელმა მოულოდნელად გამოსავალი მოიხატა: სადღაც თმის საკრეჭი მანქანა იშოვა და ვინჩიმ წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ მოასწრო, ისე გამოემშვიდობა ხუჭუჭთმებს. წუთიც და, სასწორმა ზუსტად საჭირო წონა უჩვენა. ვინჩი ჯერ დალონიბული იყო, მაგრამ შემდეგ,



სპორტის ისტორიაში თავისი ხანგრძლივობით უმაგალითო იყო 1912 წელს ოლიმპიადაზე ფინელი ასიკიანინენისა და რუსი კლაინის ორთაბრძოლა ჭიდაობაში, რომელიც ათ საათს გაგრძელდა. არაობიექტურმა მსაჯობამ კლაინს პირველი ადგილი დააკარგინა.




XVI ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი სამ საათს გაგრძელდა. ისეთი სიციხე იდგა, რომ რამდენიმე ადამიანს გული შეუწყუბდა, ხოლო ირანის დელეგაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იქვე გარდაიცვალა.


VIII ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთის ფინალურ შეჯიბრში ერთმანეთს ხვდებოდნენ იტალიისა და ესპანეთის გუნდები. ესპანელთა კაპიტანმა ვალონემ თავის კარში გაიტანა გოლი. ამაოდ ამშვიდებდა მას განთქმული მეკარე ზამორა, —ვალონემ ველარ ააწყო თამაში და ოქროს მედლები იტალიელებმა წაიღეს.



ამ შეჯიბრს სულაც არ ჰგავდა 1904 წლის ოლიმპიადაზე მართონულ რბენაში გამართული ასპარეზობა. შეჯიბრის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულად ამერიკელი ლოიდი გამოაცხადეს. მან რბენა ისე კარგად დაამთავრა, გეგონებოდათ ახლა იღებს სტარტსო. ბოლოს გამოაშკარავდა, რომ 42 კილომეტრიდან ნახევარზე მეტი მას მანქანით



ნახ. ე. ამბოკაძისა



ოთხი თვალი

ბრაზილიისა და გვიანას სანაპიროებთან ბინადრობს ერთგვარი თევზი, რომელსაც ოთხი თვალი აქვს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს მას მხოლოდ ორი თვალი ჰქონდეს. მაგრამ ეს თვალები პორიფორული ზოლით ორ-ორად არიან გაყოფილი. ასევეა გაყოფილი რქოვანი და ფერადი გარსებიც. გუგა ორმაგია, მაგრამ ბროლი მხოლოდ ერთი. ბროლი უჩვეულო აღნაგობისაა: მისი ზედა ნახევარი ბრტყელია, ხოლო ქვედა—გამობურცული. ოთხთვანი თევზი ზღვის ზედაპირთან დაცურავს იმგვარად, რომ გამობურცული თვალები სანახევროდ აქვს ამოყოფილი წყლიდან; თვალის ზედა ნაწილი ათვალერებს, თუ რა ხდება ზემოთ, ქვედა ნაწილი კი ფსკერისკენ იქიწრება.

ქალაქი ყვავილენი

ხანოი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი. საახალწლო დღესასწაულისათვის აყვავებულ ზღაღ იქცევა ხოლმე. არც ერთი ოჯახი არ მიუჯდება საახალწლო სუფრას ყვავილების თაიგულის გარეშე.

ქალაქში განსაკუთრებით ბევრია ნარცისები. რომელთაც სპეციალურად ისე ზრდიან, რომ ზუსტად ახალი წლის წინაღღეს გაიშალონ. კონკურსებიც კი ეწყობა საუკეთესო ნარცისზე.

ვიეტნამში ახალი წელი განსაზღვრულ დღეს კი არ მოდის, არამედ მთვარის კალენდრის მიხედვით: ან იანვრის დამლევს, ან თებერვლის დასაწყისში— იმ დროს, როცა გლეხებს ბრინჯის რგვის შემდეგ ხანმოკლე შესვენება აქვთ.

დღესასწაულის წინ ხანოის ბევრი ქუჩა თავის ნამდვილ სახელს იცვლის: ზოგი «ყვავილების ქუჩად» იქცევა, ზოგიც—«ტკბილეულობის», «საახალწლო მორთულობის» ქუჩებად. აქ, ღია ცის ქვეშ, შეიძლება კვედფარის ყიდვა, რაც ახალი წლის მზიარულად შეხვედრისათვის არის საჭირო.

ახალი წლის პირველ დღეს მიღებულია სტუმრად წასვლა და ძველი ჩვეულების თანახმად, ფორთოხლის ჩუქება. გვიან ღამემდე ქუჩებში დიდი სიერნობა და გართობა-თამაშია. განსაკუთრებულ მზიარულებას იწვევს ნიღბებით ცეკვა. ქალაქის ყველა მოედანზე დგას ბამბუკის მაღალი საქანელები, შევიძლიათ ჩაჯდეთ შიგ და ცისკენ «გაფრინდეთ».

ცეკვა გობრით

სამხრეთ აფრიკის მცხოვრებთათვის ახალი წლის დაწყება მოსავლის დამწიფებასთან არის დაკავშირებული.

მთელი ტომი ფართო მოედანზე ნახევარწრივად ეწყობა. არავითარი ხმა არ არღვევს სრულ სიჩუმეს... ბოლოს, წინ გამოიბის ტომის ბელადი და იწყებს ცეკვას. უზარმაზარი ნახტომებით დაქრის იგი ნახევარწრეში და უცებ, მთელი ძალით ანარცხებს მიწაზე უზარმაზარ, მწიფე გოგრას. გოგრა ნახლეჩებად იქცევა და მთელი სოფელი სისარულის შექანილებით ხვდება ამ ამბავს, დაიწყო ახალი წელი. უკვე შეიძლება ახალი მოსავლის—ხილისა თუ ბოსტნეულის აღება და ჭამა. ის, ვინც ახალი წლის დაწყებამდე გახედავს ამას, დიდი ჯარიმის გადახდით ისჯება.



ართავადა თორმეტი კომეტა

1958 წლის 14 აპრილს, ღამით, კუნძულ ბარბადოსის მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ ცაზე მიჰქროდა კომეტა, რომლის კაშკაშა კუდი 100 კილომეტრზე იყო გაჭიმული. მას განუწყვეტლივ სწყდებოდნენ გავარგარებული ბურთები. ამათაც მაშინვე კულები უჩნდებოდათ. ამის გამო ცაზე ერთბაშად თორმეტი კომეტის დანახვა შეიძლებოდა. მაგრამ ახლადწარმოქმნილი კომეტები მალე ქუცმაცდებოდნენ და მიწას ცეცხლის წვიმად ეცემოდნენ.

ეს ღამეში სანახაობა დაახლოებით ორ წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც მთავარი კომეტა აფეთქდა და კაშკაშა ნამსხვრევების სეტყვად წაშლიდა მიწისკენ.

ამ უჩვეულო მოვლენით დაინტერესებულმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს არარეულე-

ბივი კომეტა იყო დედამიწის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც 1958 წლის 14 აპრილს ატმოსფეროს სქელ ფენებში შეიჭრა. იქ იგი გავარგარდა და ბოლოს დნობა დაიწყო. გამდნარი ლითონის მასა სწყდებოდა თანამგზავრის სხეულს და კომეტების შთაბეჭდილებას ტოვებდა «კულებს» კი ქმნიდნენ გამდნარი ლითონის წვეთები, რომლებიც შემდეგ კიდევ უფრო წვრილ წვეთებად ნაწილდებოდნენ.

ყვავილენი და... ბრმები

შვეიცარია გააკეთეს ბურთი, რომელიც განუწყვეტლივ გამოსცემს ხმას. მისი შემქმნელის აზრით, ასეთი ბურთი საშუალებას მისცემს ბრმებს. სმენის საშუალებით გაერკვნენ მიმართულებებში და ითამაშონ ფეხბურთი. ამ გამოგონებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. როგორც ფიქრობენ, ამიერიდან შესაძლებელი გახდება ბრმათა გუნდების ჩემპიონატიც მოეწყოს.

ზავი მთვარე

ძნელი დასაჯერებელია, რომ მთვარე, რომელიც ჩვენ მოოქროსფრო გვეჩვენება, სინამდვილეში თალხი ფერისაა. ეს პირველად ერთმა ინგლისელმა ასტრონომმა შენიშნა. ერთხელ იგი სამხრეთ აფრიკის ნავსადგურ კეიბტაუნში შედიოდა გემით სწორედ იმ დროს, როცა ჩამავალი მზის სხივებით განათებულ მთაზე საცხე მთვარე ამოვარდა. ასტრონომმა შეამჩნია, რომ მთის კლდეები უფრო კაშკაშედნენ, ვიდრე მთვარე. მაშასადამე, დაასკვნა მეცნიერმა, მთვარის ზედაპირი მუქი ფერის ქანებისაგან შედგება ამჟამად დადგენილია, რომ მთვარის ზედაპირი მზის სინათლის ძალზე



მცირე ნაწილს — მხოლოდ შვიდ პროცენტს არეკლავს, ისევე, როგორც ყველაზე მუქი ფერის ქანები დედამიწაზე.

რედაქციაში შემოსული მასალები
 აქტორებს არ უბრუნდებათ


«ПIONEРИ» детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. П. Ленина, № 3, 1965. Тбилиси
 пр. Плевахова, 91. Мისამართი: თბილისი, პლენარის პრ. 91. ტელ. 3-81-85.

უფ. 0008. ტირ. 29.000. პირ. ფორმ. რაოდ. 41, ფიხ. ფორმ. რაოდ. 2.
 ხელმოწერ. დასაბ. 18/II-60 წ. სტამბის მეც. № 153 გამოც. შეც. № 41
 საქ. კ. ც. კ-ის გამომცემლობის პეკომბინატი «კომუნისტ». საქართველოს სსრ აბაშელი და
 ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «საქაქედლი»

თ ა ვ ს ა ტ მ ხ ი

ასანთის 12 ღერისაგან აგებულია ოთხი ოთხკუთხედი. საჭიროა მათგან მიიღოთ 3 ტოლი ოთხკუთხედი ისე, რომ არც ერთი ღერი არ მოაკლოთ და არც მიუმატოთ. როგორ მოიქცევით?

გ. გველეხიანი



ბამოცანა

სირბილში ცხენსაც დაჯანის, კვერცხიდან არის შობილი, ფრენა არ იცის და მიინც ფრინველად არის ცნობილი.

ა. მწარიაშვილი

ამოცანა

სათის ციფრთა ჯამი უდრის 78. საჭიროა ეს ციფრები გაიყოს სამ ჯგუფად ისე, რომ ყოველ ჯგუფში შემაგალი ციფრთა ჯამი უდრიდეს 26.




ბ. გველეხიანი



პ ა რ ო ს კ ო რ დ ი

ვერტიკალურად: 1. გარეული ცხოველი; 2. მდინარე რუსეთში; 3. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 4. სივრცის საზომი ერთეული; 7. ყვავილი; 8. ბალახი; 9. რაიონული ცენტრი საქართველოში; 10. გარეული; ცხოველი 13. შეჯიბრისათვის განკუთვნილი დროის მონაკვეთი; 15. ლიტონი; 16. ტბა ოსეთში; 17. მდინარეზე გადასასვლელი საშუალება.



ჰორიზონტალურად: 5. მაიმუნის ჯიში; 6. თივის გროვა ანუ... 9. ბუნების მოვლენა; 11. ყვავილი; 12. მწვანელი; 14. მხარე საბჭოთა კავშირში; 18. რკინიგზის სადგური საქართველოში.


შეადგინა სოფ. ახალდაბის 7-წლიანი სკოლის მოსწავლემ გ. მურადაშვილმა

პასუხები



პასუხი „თავსატმხში“

ასანთის 4 ღეროს მოკლების შემდეგ დარჩება 5 უჯრა ისე, როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები.



პასუხი „ბამოცანებზე“




1. ღვინო; 2. სიმინდი; 3. კბილები და ენა.

პასუხი „შარადაზე“

თხილამური.

პასუხი „პაროკროსოვროდში“

1. გორი; 2. არჩილი; 3. უშუბა; 4. „მერანი“, 5. ახტალა; 6. რიონ-ჰესი; 7. ჯაფახეთი; 8. ონი; 9. სალამური; 10. სარაჯიშვილი; 11. ალგეთი; 12. ბათუმი; 13. ჭოროხი; 14. „ოროველა“; 15. „თეო“; 16. „აბეზარა“; 17. საირმე; 18. აბაშიძე; 19. ქაშვეთი; 20. არსენა; 21. რუსთაველი; 22. თელავი; 23. ვარძია; 24. ელოშვილი; 25. ლესელიძე; 26. „ოტელო“; 27. სამტრედია.



მოუსაზრებელი ჩოჩრები

ნახატები ი. ხიჩაგისა

ახალი წიგნები



დახედეთ, ბავშვებო, რამდენი ახალი წიგნი შეემატა გასულ წელს ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ბევრ ნაცნობ ავტორთან ერთად აქ თქვენ მრავალ უცხოელ და რუსი მწერლის გვარს წაიკითხავთ. გამომცემლობა «ნაკადული» წელსაც მრავალ საინტერესო წიგნს გპირდებათ თავის მკითხველებს.

